# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 6 ივნისი, 2009 წელი.

№ 110 (6211)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## „არსაიდან ხმა, არსით მაშველი“... 3





ეკა ბესელია: „კარგი იქნება, თუ პარტიები განსხვავებულ მოსაზრებებს ისე წარმოაჩენენ, რომ სხვებს ჩრდილი არ მიაყენონ და არ შეურაცხყონ“ 3

## კიდევ ერთხელ საკონსტიტუციო ცვლილებების პარადოქსებზე 4



იაგო კაჭკაჭიშვილი: არჩევნების სამართლიანად ჩატარების შემთხვევაში ოპოზიციურ სპექტრს პარლამენტში უმრავლესობის მოპოვების შანსი აქვს 5

## შევარდნაძე ივანიშვილს პატარკაციშვილის შეცდომების გამეორებას არ ურჩევს 2

## მონარქიას მომხრეები ჰყავანან, მაგრამ მეფე ჯერ არ ჩანს 2

## დიპლომატია და რუსი გენერლის მკვლელობა 6




## ქართული პოლიცია პუტინის სტუდენტობის დროინდელ კოლეგებს იჭერს 8

### ფრაზა დღის ამ ფრაზურიდან

**სოზარ სუბარი:**
(სახალხო დამცველი)

— ჩვენი პრეზიდენტი თან ვითომ სამართლიანობას იცავს და თან ინდულგენციებს გასცემს არა მარტო ჩადენილი დანაშაულის, არამედ მომავალში ჩასადენი დანაშაულისთვისაც. არადა პრეზიდენტი ასეთ ინდულგენციებს არ უნდა გასცემდეს.

(„კავკასია“, 4 ივნისი).



ჟურნალისტური გამოძიება

## ამბავი აფხაზეთში ტყვედ ნამყოფი რკინიგზელებისა 5

ინფორმაცია

## „ყველამ იცის, ვინ არის მტერი და ვინ მოყვარე“

**რუსეთის ფედერაციის საბჭოში საქართველოს საპატრიარქოსა და საზოგადოების გამოჩენილ წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. ამ ინფორმაციას ფედერაციის საბჭო ავრცელებს. რუსული მხრიდან აღნიშნულ შეხვედრაში ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე სვეტლანა ორლოვა, ფედერაციის საბჭოს საინფორმაციო კომისიის თავმჯდომარე ლუდმილა ნარუსოვა და ფედერაციის საბჭოს აგრარული პოლიტიკის თავმჯდომარის მოადგილე მაქსიმ ქავჭარაძე. ქართული მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ რეჟისორი რეზო ჩხეიძე, ჟურნალისტი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე, იურისტი ნუგზარ კახნიაური, ეპისკოპისი ანდრია (გვაზავა ამირანიძ და სხვა ღვთისმსახურები.**

სვეტლანა ორლოვამ თავის სიტყვით გამოსვლაში აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

მისივე თქმით, რუსეთის საზოგადოებრივი ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის ცხოვრებაში. – მაგალითად, სამხრეთ ოსეთში მომხდარ მოვლენებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანას ძალიან აწუხებდა, მიეცა შეფასება. რუსეთი არავის დასხმია თავს და მსოფლიო საზოგადოებამ ეს იცის, – აცხადებს ორლოვა.

მათივე ინფორმაციით, თავის მხრივ რეზო ჩხეიძემ აღნიშნა, რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და ქართველმა ხალხმა უნდა გააკეთოს არჩევანი თუ რა გზით იაროს.

სტუდენტობა და ახალგაზრდობა ყველაფერს კარგად ხედავს და ყველაფერი კარგად ესმის – ვინაა მტერი და ვინ მოყვარე. მეჩვენება, რომ მე კარგად ვხედავ ვის და რის გარშემო უნდა გაერთიანდეს საქართველო იმისათვის რათა ისტორიულ გზაზე იაროს – ეს ჩვენი ეკლესიაა, – აცხადებს რეზო ჩხეიძე.

## ხელისუფლება არის ყრუ, ბრმა და...



**გუშინ თბილისის საკრებულოს სხდომა „ხალხის პარტიის“ ლიდერმა კობა დავითაშვილმა და „ლეიბორისტების“ წარმომადგენელმა პაატა ჯიბლაძემ პროტესტის ნიშნად დატოვეს.**

როგორც მათ საკრებულოს წინ მიმდინარე აქციაზე განაცხადეს, საკრებულომ არ გაიზიარა მოთხოვნა რუსთაველის გამზირის დასუფთავების შესახებ.

კობა დავითაშვილის თქმით კი, არანაირი გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით არ მიუღიათ, არადა საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიას ამ საკითხის კურირება აქვს დავალებული.

მისივე განცხადებით, საკრებულოს წევრებმა დაანახეს მთელ ქალაქს, რომ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანო არ გვყავს.

– ჩვენ თვითონ უნდა მივხედოთ ქალაქს. ქალაქსაც დავალაგებთ, საზოგადოებრივ წესრიგსაც დავიცავთ, რადგან ხელისუფლება არაფერს აკეთებს. ხელისუფლება კი, რომელიც არაფერს აკეთებს, საჭირო არ არის, – აღნიშნა კობა დავითაშვილმა.

პაატა ჯიბლაძის თქმით, ხელისუფლებას არ სურს ხალხის აზრის მოსმენა, იმ საკითხების განხილვა, რომლებსაც ოპოზიცია აყენებს.

– ხელისუფლება არის ყრუ, ბრმა და არ სურს გარკვეული საკითხების განხილვა, – განაცხადა პაატა ჯიბლაძემ.

ამასთან ერთად, საკრებულოს წინ საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა.

აქციის მონაწილეები მას შემდეგ დაიშალნენ, რაც კობა დავითაშვილი და პაატა ჯიბლაძე საკრებულოს სხდომიდან გამოვიდნენ.

ამასთან, აქციის მონაწილეებს საკრებულოსთან ერთი საათის განმავლობაში ე.წ. სირცხვილის დერეფანი ჰქონდათ მოწყობილი, თუმცა ამ ხნის განმავლობაში ცენტრალური შესასვლელიდან საკრებულოს არც ერთი წევრი არ შესულა.

## მართლა მიმდინარეობს არაფორმალური შეხვედრები?

**„ქრისტიან-დემოკრატიული“ პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ლევან ვეფხვაძის მტკიცებით, ხელსუფლებასა და ოპოზიციას შორის არაფორმალური შეხვედრები მიმდინარეობს.**

– გარკვეული არაფორმალური შეხვედრები უკვე მიმდინარეობს ხელისუფლების წარმომადგენლებსა და გარკვეულ ოპოზიციურ პარტიებს შორის. თუმცა, მთავარია ამ შეხვედრების დროს მიღწეული შეთანხმებების გაფორმება მოხდეს, – აცხადებს ვეფხვაძე.

ამასთან, მისი განმარტებით, საჭიროა ასევე ისიც, რომ საზოგადოებამ იცოდეს, არაოფიციალური შეხვედრებისას პოლიტიკური მხარეები რაიმე საკითხზე თანხმდებიან თუ არა.

**ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი**

განსჯა



## შევარდნაძე ივანიშვილს პატარკაციშვილის შეცდომების გამეორებას არ ურჩევს

**ინტერვიუ საქართველოს ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან**

**– ბატონო ედუარდ, როდის გაიცანით ბადრი პატარკაციშვილი?**

– ბადრი მოსკოვში გავიცანი, წელი ზუსტად აღარ მახსოვს, მაგრამ მას საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ვიცნობდი.

**– როდესაც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყავით?**

– არა, უფრო ადრე. ვიდრე საგარეო საქმეთა მინისტრი გავხდებოდი, მანამდე გავიცანი, როგორც რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი. ბადრის საქართველოში ჩამოსვლა შევთავაზე....

**– ეს როდის მოხდა? როცა თქვენ უკვე საქართველოში დაბრუნდით?**

– დიახ, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ...

**– თუმცა იგი საქართველოში 1995 წლის შემდეგ გამოჩნდა...**

– მერე რა? შეთავაზება ხომ ძალაში დარჩა!

**– მაშინ რით იყო დაკავებული ბადრი პატარკაციშვილი?**

– ბიზნესმენი იყო, ბევრი ფული ჰქონდათ მას და ბორის ბერეზოვსკის... ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ მაშინ მათ „ავტოვაზთან“ დაკავშირებით სერიოზული კომბინაცია განახორციელეს და დიდი ფული იშოვეს. სხვათა შორის, ბადრი, ბერეზოვსკისგან განსხვავებით, ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა რუსეთის ხელისუფლებაში, მედიაში და საერთოდ საზოგადოებაში...

**– ვინ გაგაცნოთ ბადრი პატარკაციშვილი?**

– დიდი მიღება გაიმართა მოსკოვში და იქ გავიცანი. სხვათა შორის, საქართველოს პატრიარქიც იქ გავიცანი, მანამდე არ ვიცნობდი ილია მეორეს. ზუსტად აღარ მახსოვს, კონკრეტულად რა აღინიშნებოდა მაშინ, მაგრამ მათ გარდა, იქ სხვა ქართველებიც იმყოფებოდნენ.

**– მაშინ თუ ფიქრობდა პატარკაციშვილი საქართველოში იმ პროექტების განხორციელებას, რომელიც მოგვიანებით წამოიწყო?**

– რამდენადაც მე ვიცი, ბადრის 4-5 პროქტი ჰქონდა, რომლის განხორციელებასაც აპირებდა. მათ შორის იყო მთაწმინდის პარკის აღდგენა და რკინიგზის რეკონსტრუქცია. ძალიან მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება უნდოდა. ასევე, პატრიარქის თხოვნით, იგი აქტიურად ჩაერთო იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაბუნების საქმეში.

**– სამების ტაძრის მშენებლობაშიც ხომ არ მონაწილეობდა?**

– ბევრ ობიექტს აშენებდა, შეფობდა, აფინანსებდა, მაგრამ სამების ტაძრის აშენებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ეს ტაძარი თავიდან ბოლომდე ბიძინა ივანიშვილმა ააშენა. ცოტა მე გადავიხადე პრეზიდენტის ფონდიდან, მაგრამ ის თანხა მხოლოდ საძირკვლის გათხრას ეყო. მერე დავიწყე ფულის მოძიება, ბიძინა ივანიშვილს საბჭოთა პერიოდიდან ვიცნობდი და მას დავუკავშირდი. როდესაც ბიძინას შევხვდი, ვუთხარი, „ყველა თაობა რაღაცას ტოვებს – ზოგმა სვეტიცხოველი ააგო, ზოგმა – გელათი და ა. შ. საქართველო ახლა თავისუფალი ქვეყანაა და ჩვენმა თაობამაც ხომ უნდა დატოვოს რაღაც-მეთქი“. ბიძინამ მითხრა, „ორი დღე მომეციო“. ზუსტად ორი დღის შემდეგ მოვიდა და მითხრა, რომ მთლიანად იღებდა პასუხისმგებლობას ტაძრის მშენებლობის დაფინანსებაზე... მან ძალიან დიდი საქმე გააკეთა, უზარმაზარი საქმე... ასეთ საქმეებს დიდი კაცები აკეთებენ.

**– ამბობენ, მასაც აქვს საპრეზიდენტო ამბიციებიო....**

– არა მგონია, რომ ბიძინას პრეზიდენტობა უნდოდეს. არც ბადრის ჰქონდა პოლიტიკური ამბიციები. ეტყობა ვიღაცებმა აიძულეს, რაღაც გარემოებების გამო მიელო ეს გადაწყვეტილება და საბედისწერო შეცდომაც დაუშვა. ბადრი ჭკვიანი კაცი იყო და ძალიან მიკვირს, ეს შეცდომა როგორ დაუშვა.... ივანიშვილიც ჭკვიანი კაცია და არა მგონია, ეს შეცდომა გაიმეოროს.

**ანი მიროტაძე,**
**საინფორმაციო სააგენტო „პირველი“**

არის წინადადება

## პრეზიდენტის რეზიდენცია და თვითმფრინავი უნდა გაიყიდოს

**ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ექიმებისთვის, პედაგოგებისთვის და რკინიგზის თანამშრომლებისთვის მაისის თვის ხელფასების გაუცემლობა გამოწვეულია იმით, რომ ქვეყანაში სერიოზული საბიუჯეტო გარღვევაა.**

ლეიბორისტული პარტია მოითხოვს, შეწყდეს სააკაშვილის და მისი მთავრობის წევრებისთვის სამივლინებო თანხების გაცემა.

– სააკაშვილის ყალბი ლოზუნგი ხელფასების ზრდასთან დაკავშირებით არის ბლეფი. ჩვენ მოვითხოვთ, გაყიდული იქნას სააკაშვილის პირადი თვითმფრინავი ჩელენჯერი და მისი რეზიდენცია და ამ შემოსული თანხებით დარიგდეს მაისის თვის ხელფასები, – განაცხადა შატბერაშვილმა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

დისკუსია

**თუ რას ფიქრობენ მონარქიის მომხრეები ქვეყანაში შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე, გუშინ საინფორმაციო სააგენტო „რია-ნოვოსტიში“ იმსჯელეს. ია ბაგრატიონ-მუხრანელი, ვაჟა აბაკელია, ნოდარ მგალობლიშვილი და გია მეფარიშვილი კრიზისიდან გამოსავალს კონსტიტუციურ მონარქიაში ხედავენ. მოწვეული იყვნენ კონსერვატიული პარტიის წევრები ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, თუმცა პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულებს ეტყობა, ეს თემა ნაკლებად აინტერესებთ და პარტიას კონსერვატიული მხოლოდ სახელიღა შერჩა.**

## მონარქიას მომხრეები ჰყავნან, მაგრამ მეფე ჯერ არ ჩანს

**ია ბაგრატიონ-მუხრანელმა** აღნიშნა, რომ „სამეფო გვირგვინის“ ორგანიზაციის წევრები გმობენ პრეზიდენტის ინსტიტუტს და მხარს ძლიერ პარლამენტს უჭერენ.

**ვაჟა აბაკელიამ** იმის მაგალითები მოიყვანა, რომ ევროპის ბევრ სახელმწიფოში მონარქიული წყობილებაა, ჰყავთ მეფე, თუმცა ამას მათთვის ხელი არ შეუშლია... დღეს ადამიანებს უჭირთ გამოსავლის პოვნა, საზოგადოება კონფლიქტშია სახელმწიფოსთან, მაგრამ ეს უკანასკნელი ყურსაც არ იბერტყავს. მეფე მსგავს სიტუაციაში ყოველთვის გამოსავალია, – აღნიშნა მან.

მონარქიის ინსტიტუტის არსებობა აუცილებელია ჩვენისთანა ქვეყნისთვის, – განაცხადა **ნოდარ მგალობლიშვილმა,** – მაგრამ ეს თემა ჯერ ხალხში უნდა გაღვივდეს. მორწმუნე ერს მეფე სჭირდება.

**გია მეფარიშვილი,** რომელმაც საქართველოს კონსტიტუციის შექმნაში მიიღო მონაწილეობა, მიიჩნევს, რომ ის წააგავს ესპანეთის კონსტიტუციას. მონარქია ეს არის ერთადერთი გზა, რომელსაც შეუძლია ქვეყანა გააერთიანოს, – ამბობს ის, – მაგრამ მოსახლეობას გაცნობიერებული არა აქვს მისი აუცილებლობა, განსაკუთრებით, რეგიონებში. მონარქია – ეს არის ქვეყნის მომავალი, რომელსაც დიდი პრობლემების მოხსნა შეუძლია. დღეს რომ კონსტიტუციური მონარქია ყოფილიყო, კრიზისის დასაძლევად კარგად იმუშავებდა.

გია მეფარიშვილმა ძალიან არ მოიწონა იდეა, ორპალატიანი პარლამენტის შექმნის შესახებ რომ გაახმიანა ავთანდილ დემეტრაშვილმა, რომელმაც ახალ კონსტიტუციაზე უნდა იმუშაოს. ეს იქნება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის საბოლოო დაკანონება.

ია ბაგრატიონ-მუხრანელმა გულისტკივილი ვერ დამალა ახალშექმნილ სამეფო ოჯახთან დაკავშირებით, რადგან ილია II-ს მიერ ჯვარდაწერილი წყვილი მალევე გაშორდა. პატრიარქიც გულგატეხილია, თუმცა თავიდანვე ბევრი ისეთი ვინმე ჩაერია ამ ოჯახის ამბებში, რომ დააშორეს, – დასძინა მან.

წყვილი ოფიციალურად არ გაშორებულა, თუმცა ცალ-ცალკე ცხოვრობენ და დეტალებზე საუბარს გაურბიან.

**მონარქიის შესახებ დისკუსია დიდხანს გაგრძელდა, მის გარდაუვალ აუცილებლობაზე ისაუბრეს. თუმცა პარადოქსია, მაგრამ დღეს რომ მთელმა ერმა ერთსულოვნად დაუჭიროს მხარი მონარქიის აღდგენას, ჯერ მეფე მაინც არ არსებობს.**

**თეა მოსია**

პრესკონფერენცია

## დევნილები მოტყუებული და მიტოვებული არიან

**„თავისუფალი აზრის სახლის“ აღმასრულებელი დირექტორი მამუკა არეშიძე გუშინდელ პრესკონფერენციაზე შეეხო აგვისტოს ომის შედეგად დიდ და პატარა ლიახვის ხეობებში მცხოვრები დევნილების მდგომარეობას.**



არეშიძის თქმით, შიდა ქართლის დევნილები მოტყუებულები და მიტოვებულები არიან და მოუწოდებს ხელისუფლებას, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება დევნილთა პრობლემებზე.

ამ დევნილებს უამრავი პრობლემა აქვთ. ეს შეეხება კომპენსაციას, ბინებს თუ მათ დასაქმებას. ამით არ ამოწურულა არაფერი. ჩვენ გვინდა, საზოგადოებას, ხელისუფლებას და ოპოზიციას მოვუწოდოთ, რომ ამ ფაქტებზე რეაგირება მოახდინონ. ამ ხალხში იმდენად არის შიდა დაძაბულობა, რომ შეიძლება რამე მოხდეს. ხალხმა ომის დროს უშველა თავის თავს. ომის დროს იყო უამრავი დარღვევა. ეს იყო განუხორციელებელი ევაკუაცია. გადაწყვეტილებების არასწორი მიღება, ანუ ბინების და თანხების არასწორად განაწილება, – განაცხადა მამუკა არეშიძემ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## გაბრაზებული კაცის ფიქრები

# „ასეთიან ხმა, ასეთი ძახილი“...

**იმის მიუხედავად, ვინ ვისი მომხრეა, ხელისუფლებისა თუ პირიქით, საქართველოში არ მეგულება ნორმალური ადამიანი, ვინც არ ფიქრობს იმაზე, რაც თბილისში ხდება და თუ სხვას არა, თავის თავს მაინც არ უსვამდეს კითხვებს — სად არის გამოსავალი ამ მართლაც ჩიხური სიტუაციიდან, ან საერთოდ არსებობს კი გამოსავალი არსებული რეალობიდან, რომელმაც აშკარად ტრაგიკომიკური ელფერი შეიძინა?**

ერთი მხრივ, ბრმა და ყრუ ხელისუფლება, რომელიც თავისივე მოგონილ, ირეალურ, ვირტუალურ სამყაროში ცხოვრობს და, მეორე მხრივ, ოპოზიცია, რომელიც, მიუხედავად მათი ლიდერების მცდელობისა, დაფარონ ყველასთვის დაუფარავი, მარტივ მამრავლებად იშლება და, რაც ყველაზე მთავარია, არ იცის, რა ილონოს, იმაზე წონადი არგუმენტი, რაც 26 მაისის გადაჭედილი სტადიონი იყო, სხვა რა წარუდგინოს ხელისუფლებას? იმ ხელისუფლებას, რომელსაც არაფერი ეტყობა საიმისო, რომ სააკაშვილის გადადგომა ფიქრად მაინც გაევლოს, ან ჯერ კიდევ სააკაშვილის ხელისუფლების მხარდამჭერ აშშ-ევროპას, რომელთა ქმედითი ჩარევის გარეშე, როგორც ჩანს, არაფერი გამოვა, რადგანაც, პოზიცია-ოპოზიციის მორჩილი მზერა დასავლეთისკენ არის მიმართული — ორივეს იქ ეგულება პატრონი მასწავლებლები.

წინამდებარე წერილის მიზანი სწორედ ის არის, რომ მკითხველთან ერთად ვცადო იმის გაანალიზება, თუ რა ხდება ჩვენს თავს და უმთავრესი — რა შეიძლება მოხდეს ხვალ? ამისთვის კი ყველაზე მტკივნეულ და იჭვნეული კითხვას უნდა გაეცეს პასუხი:

### რატომ არ ერევა დასავლეთი ჩვენთან მიმდინარე პროცესებში?

**ზემოთ ვთქვი და ახლაც გავიმეორებ — გარედან ქმედითი ჩარევის გარეშე ტრაგიკომიკური ჩიხიდან გამოსვლას პირადად მე ვერ ვხედავ!** ის, რაც აგერ უკვე ორი თვეა მიმდინარეობს, ნერვების ომს კი არა, როგორც შალვა რამიშვილმა ენამოსწრებულად შენიშნა, ნამდვილად წააგავს პოლიტიკურ მასტურბაციას, რითაც ამ პროცესის მთავარი მონაწილე — ქართული საზოგადოება — ვერანაირ სიამოვნებას ვერ ღებულობს. თუ ვინმე „კაიფობს“, ისევ ხელისუფლებაა, რომელსაც, ნერვი, როგორც ასეთი, საერთოდ არა აქვს, თვითდინებაზე მიუშვა პროცესი და ჯიუტი მოთმინებით ელოდება (იქნებ არცთუ უსაფუძვლოდ), როდის გაწყდება ხალხის მოთმინების ძაფი და ან დაიშლება, ან კიდევ, ოპოზიციის თანხმობით თუ მისი ნების გარეშე, გადავა ყბადაღებულ კონსტიტუციურ საზღვრებს.

ორივე შემთხვევაში მოგებული ხელისუფლება დარჩება და სწორედ ამიტომ ვერ გავიზიარებ ოპოზიციის ოპტიმიზმს იმის თაობაზე, რომ დრო სააკაშვილის საწინააღმდეგოდ მუშაობს, მაგრამ, მოდით, მთავარ კითხვას მივუბრუნდეთ.

ვერც იმ მოსაზრებას გავიზიარებ, რომ დასავლეთის პასიურობის მიზეზი ოპოზიციაში გამოკვეთილი, ქარიზმატული ლიდერის არარსებობაა და ვერც იმას, რომ (მოდით შევთანხმდეთ იმაზე, რომ ე. წ. დასავლეთში აშშ იგულისხმება, რადგანაც რეალურად მხოლოდ მას ძალუძს მიმდინარე პროცესებზე ქმედითი ზეგავლენა. ამიტომ ამ კონტექსტში ევროპას აღარ ვახსენებ). აშშ-მ არ იცის სააკაშვილის გადადგომის შემდეგ რა იქნება. მე უფრო პირიქით მგონია, მაგრამ ამაზე ქვემოთ, მანამდე კი...



აშშ-ს ქმედით ჩარევაში სამხედრო, ძალისმიერ ოპერაციას არ ვგულისხმობ. თუმცა ამის არა ერთი და ორი შემთხვევა ვიცით. თუნდაც პატარა გრენადის მაგალითი კმარა, რომ არაფერი ვთქვათ სადამის ერაყზე.

გავიხსენოთ თუნდაც ჩვენი „ამშენებელი“ ე. წ. ვარდების რევოლუცია. იგი რომ აშშ-ს პროექტი იყო, ამაზე ვინმე დავობს? მკითხველებს რევოლუციის წინაისტორიას შევახსენებ. ვარდების კოშმარზე კარგა ხნით ადრე აშშ-ს პირდაპირი ზეწოლით აღდგა „რუსთავი-2“-ის მაუწყებლობა, რომელიც წლების მანძილზე, მეთოდურად უთხრიდა ძირს შევარდნაძის კორუმპირებულ რეჟიმს. ამას დავუმატოთ ევროპის, ბალკანეთის ფერადი რევოლუციის მამა, საქართველოში აშშ-ს რეზიდენტი-ელჩი რიჩარდ მაილსი და ნათელი გახდება, რომ ის, რაც 2003 წლის 23 ნოემბერს მოხდა, ოდენ ტექნიკის საქმე იყო, რადგანაც ეს იყო რევოლუცია „რუსთავი-2“-ის პირდაპირ ეთერში.

**აი, სწორედ ამას ვგულისხმობ აშშ-ს ქმედით დახმარებაში — ვერავინ დამაჯერებს, რომ სურვილის შემთხვევაში აშშ-ს არ შეუძლია „ნაცების“ მიერ ოკუპირებული მასმედიის სივრცის დეოკუპაცია. იმისთვის, რომ ე. წ. საზოგადოებრივი მაუწყებელი მართლაც საზოგადოების სამსახურში ჩადგეს, ოკეანის გაღმიდან ერთი მკაცრი სატელეფონო ზარი საკმარისი, მაგრამ...**

ვინ, ვინ და მიშამ კარგად იცის, თუ რა ძალა აქვს ტელევიზიას. „რუსთავი-2“-ს და „ვარდების რევოლუციას“ რომ თავი დავანებოთ, „ნაცებმა“ სულ ახლახან საკუთარ ტყავზე იწვნიეს ბადრი პატარკაციშვილის „იმედის“ ძალა. თავისუფალმა ერთმა არხმა, რომელიც მთელს საქართველოზე გადიოდა, პირწმინდად გადაფარა ის დეზინფორმაცია, ნაცპროპაგანდა, რასაც „იმედი“ ფინანსურად არანაკლებ ძლიერი „რუსთავი-2“ და პირველი არხი ეწეოდნენ.

იცის მიშამ, რომ საკმარისია, სამიდან ერთი ტელევიზია — I არხი დათმოს და, მოკლე ხანში პოსტის დათმობაც მოუწევს. იმასაც ხვდება, რომ ეს „მოკლე ხანი“ მაილსის ვარდების გაფურჩვნასავით წლები კი არა, დიდიდიდი 1-2 თვე გაგრძელდეს. ამიტომაც ვერ ელევა ვანოს და I არხს, რადგანაც ერთი უხეში ძალაა, ხოლო მეორე — სიცრუის პროპაგანდა, ანუ რაზედაც დგას ნაცების ხელისუფლება.

დათმობას კი არა, ის ვერ მოუნელებიათ, რაც „მაესტროს“ სახით დათმეს. ამიტომაც შეფუცხუნდნენ და თბილისზე რადგანაც ხელი ჩაქნეული აქვთ, დედაქალაქის მიღმა დანარჩენ საქართველოში გათიშეს „მაესტრო“. აი, ეს არის რეალურად ამათი დიალოგიც და დემოკრატიის „მეორე ტალღა“.

და ეს ყველაფერი არ იცის შეერთებულმა შტატებმა, ვერ ხვდება, რად დადუმებულა, პირში წყალი რად ჩაუგუბებია? იმად რომ...

### „ცისას ეფერება ლუი მეთოთხმეტე“...

**მუხრანის ამ ლექსის პერიფრაზა კი — მიშას ეფერება ბარაკ ობამა! რატომ? ამ კითხვაზე პასუხისთვის „ბრძენთა ხმობა“ არ დაგვჭირდება, რადგანაც, როგორც იტყვიან — ყველაფერი ზედაპირზე ძევს და ვისაც დანახვა უნდა, დაინახავს, ვისაც არ უნდა ან ვერ ხედავს, მათ გასაგონად ვიტყვი:**

აშშ-ს მორიგმა პროექტმა, რასაც ირაკლი ალასანია ერქვა, არ იმუშავა. თუმცა თავიდან, ანუ მის ჩამოსვლამდე და საქართველოს პოლიტიკაში ჩართვამდე, საავდრო ღრუბლები ჰორიზონტზეც კი არ ჩანდა. უფრო მეტიც, ირაკლი ალასანიას იმხელა რეიტინგი ჰქონდა, რომ ჯერ კიდევ ამერიკაში მყოფი, უდავოდ ნიჭიერი ახალგაზრდა, ლამის მთელს საქართველოს მომავალ პრეზიდენტად მიაჩნდა.

**ირაკლი ალასანიას და, შესაბამისად, აშშ-ს ინტერესების თავზე საავდრო ღრუბლები მაშინ მოიქუფრა, როდესაც, როგორც იქნა, თბილისში ჩამოსულმა ალასანიამ საკუთარი პოლიტიკური მომავალი რესპუბლიკელებს დაუკავშირა. ზნეობრიობას რომ თავი დავანებოთ, პრაგმატული მოსაზრების გამოც, ალასანიას ეს ნაბიჯი შეცდომა იყო. თუმცა ქართველმა ხალხმა უფრო სიღრმისეულად განჭვრიტა ალასანიას ეს „შეცდომა“ და მისი რეიტინგი საპნის ბუშტივით გასკდა.**

ალასანიას მიერ სულ ახლახან გადადგმულმა ნაბიჯმაც, რაც ის გაემიჯნა ე. წ. რადიკალურ ოპოზიციას, ვერ გამოიღო მისთვის, და ალბათ, აშშ-სთვისაც, სასურველი შედეგი. დასავლეთის პრესა პირდაპირ წერს — რომ ირაკლი ალასანიას უკანასკნელმა სვლამ, რომ მან საკუთარი ზომიერება, ხელისუფლებასთან დიალოგისთვის მზადყოფნა დააფიქსირა, საზოგადოების ფართო მხარდაჭერა ვერ ჰპოვაო!..

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, იმის თქმა შეიძლება, რომ „ნაცების“ პიარი — პროტესტს მხოლოდ სოციალური საფუძველი აქვსო, უგემოვნო, იაფფასიანი ტყუილია. თუ მაინც და მაინც, სწორედ ვარდების რევოლუციის საფუძველი იყო სოციალური უსამართლობა, შევარდნაძის დროს, ავად თუ კარგად და ამჟამინდელთან შედარებით, შენარჩუნებული იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და იმ რეჟიმის ერთადერთ დანაშაულად ტოტალური კორუფცია რჩებოდა.

ბოლო 5-6 წლის მანძილზე ქართველმა ხალხმა დაინახა, რომ კორუფცია არსად გამქრალა, რასაც სხვა „მცირე“ უბედურებებიც დაემატა — ათობით ახალგაზრდების ხოცვა-ჟლეტით დაწყებული, მასობრივი დაპატიმრებებით გაგრძელებული და ქართული მიწებისა და სხვა ბუნებრივი რესურსების უცხოელებზე გასხვისებით დამთავრებული. ამ ყველაფრის გვირგვინი კი შარშანდელი აგვისტოს სამარცხვინო ომი იყო...

**ქართველმა ხალხმა გენეტიკური გონით იგრძნო, რომ მის თვითმყოფადობას, ეროვნულობას სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა და ეს არის პროტესტის მთავარი მიზეზი. გასული საუკუნის 80-90-იანი წლების შემდეგ პირველად გაიღვიძა ეროვნულმა სულმა, თუმცა იმ დროისგან განსხვავებით, ახლა ეროვნულ ძალებს, რაშიც ეროვნული ფორუმი და ლეიბორისტები მოიაზრებიან, შესაბამისი ცოდნაც აქვთ და გამოცდილებაც. ოპოზიციის ჭრელი სპექტრიდან ამ მიმართებით, ცალკეული პიროვნებების „ამოძრობაც“ შეიძლება. მაგ. უდავოდ მსოფლიო კლასის ეკონომისტი გია მაისაშვილი, რომელსაც მიუხედავად ამერიკანიზაციისა, მაინც ქართული სისხლი უჩქეფს ძარღვებში.**

ბოლო 20 წლის მანძილზე ქართველმა ხალხმაც შეიძინა გამოცდილება და სწორედ ამის გამო ვერ ესახება ამ გზაზე რესპუბლიკელებთან ერთად, მით უმეტეს მათი წინამძღოლობით სიარული, ანუ იმ ხალხთან, რომლებიც უკეთეს შემთხვევაში ლიბერალ-დემოკრატები არიან, ხოლო უარესში, ანტიეროვნულობაში არიან ეჭვმიტანილნი. საქართველოს მომავლისათვის ერთი მიუღებელია და მეორე დამღუპველია.

**ამიტომ ეფერება მიშას ბარაკ ობამა და მანამდე მოეფერება, სანამ რუსთაველზე გაისმის ასეთი სიტყვები: საქართველოს ეროვნული სახელმწიფო, ქართული კულტურა, ეროვნული განათლება და, რაც მთავარია, მართლმადიდებლობა! ნუ დაგვავიწყდება, რომ მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტერი, ბებერი ტურა ზბიგნევ ბჟეზინსკი ობამას ადმინისტრაციის მთავარი იდეოლოგია.**

**დავით მხეიძე**

## პოზიცია

# ეკა ბესელია: „კარგი იქნება, თუ პარტიები განსხვავებულ მოსაზრებებს ისე წარმოაჩენენ, რომ სხვებს ჩრდილი არ მიაყენონ და არ შეურაცხყონ“



***ინტერვიუ** არასაპარლამენტო ოპოზიციონერ ლიდერთან, „მოძრაობის ერთიანი საქართველოსთვის“ გენერალურ მდივანთან ეკა ბესელიასთან.*

**— ქალბატონო ეკა, რა ხდება დღეს ზოგადად არასაპარლამენტო ოპოზიციაში?**

— მინდა, გითხრათ, რომ აბსოლუტური მშვიდობაა, ყოველ შემთხვევაში, არაფერი იმის მსგავსი არ ხდება, რასაც ტელევიზიები გვამცნობენ. არის ჯანსაღი მსჯელობა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე და ამ მოვლენების შემდგომ განვითარებაზე. როგორ წარმოგიდგენიათ, არ არის უდიდესი გამარჯვება, როდესაც 14 სხვადასხვა იდეოლოგიის მატარებელი პარტია ამდენი ხანი ერთ პოლიტიკურ პროცესშია ჩართული?! მე ვფიქრობ, რომ ეს უდიდესი წარმატებაა! ის ფაქტი კი, რომ განსხვავებული ხედვები არსებობს, ძალიან კარგია. ღმერთმა არ ქნას, რომ ჩვენ „ნაციონალური მოძრაობის“ მსგავსად „ერთსულოვნები“ ვიყოთ და მათსავით ვაზროვნებდეთ! უბრალოდ კარგი იქნება, თუ პარტიები განსხვავებულ მოსაზრებებს ისე წარმოაჩენენ, რომ სხვებს არ მიაყენონ ჩრდილი და სხვები არ შეურაცხყონ.

**— იყო ასეთი შემთხვევა?**

— თქვენ როგორ ფიქრობთ, იყო ასეთი შემთხვევა?

**— მე თქვენ გეკითხებით...**

— არა, მე ზოგადად ვამბობ. უბრალოდ, კარგი იქნება, თუ საკუთარი ინიციატივების წამოწევა ასე მოხერხდება, რადგან სხვაგვარად, ვფიქრობ, პროცესს დავაზიანებთ. ჯერჯერობით კი პროცესები ძალიან წარმატებულად მიდის. პირადად მე კმაყოფილი ვარ, რომ ჩვენ მოვახერხეთ ერთი მოთხოვნის ირგვლივ ერთიანობის ამდენი ხნით შენარჩუნება. მოთხოვნა არის ისევ ერთადერთი: მიხეილ სააკაშვილის გადადგომა.

**— ირაკლი ალასანიას განსხვავებულ პოზიციებზე რას იტყვით?**

— რას გულისხმობთ?

**— მაგალითად, რკინიგზის პიკეტირების შემთხვევას. ერთ-ერთ შეხვედრაზე თქვენ ასეთი რამ განაცხადეთ: „თუ ვინეს ჰგონია, რომ მე რკინიგზის ლიანდაგებზე ჯდომა მსიამოვნებს, ძალიან შემცდარაო“...**

— თქვენ რა გგონიათ, ვინმესთვის სასიამოვნო შეიძლება იყოს შუაღამით რკინიგზის რელსებზე ჯდომა? თქვენ წარმოგიდგენიათ ასეთი პოლიტიკოსი? ის მაშინ სრულიად არანორმალური უნდა იყოს. პოლიტიკური გადაწყვეტილება შეიძლება, არაპოპულარულიც იყოს, მაგრამ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საუკეთესო გადაწყვეტილება აღმოჩნდეს.

რაც შეეხება ალასანიას პოზიციას, რომელმაც ამ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა, ეს მისი პოზიცია იყო, თუმცა უხერხულობა შეექმნა ალბათ, მის ალიანსში შემავალ ერთ-ერთ პარტიას — „მემარჯვენეებს“, რომლებიც იმ აქციაში მონაწილეობდნენ. ვფიქრობ, რომ დათო გამყრელიძემ იმ დღეს ძალიან კარგად იმოქმედა: ეს იყო პოლიტიკური გამბედაობა და ადეკვატური ქმედება.

**— „თავისუფალი აზრის სახლში“ გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც თქვენც ესწრებოდით, ერთ-ერთმა დამსწრემ, რომლის ვინაობას ალბათ, მიმიხვდებით რატომაც, ახლა განგებ არ ვასახელებ, ალასანიას მისამართით განცხადება გააკეთა, რომელსაც თქვენც დაეთანხმეთ. მან თქვა: „ან ამ ბავშვმა პოლიტიკა ისწავლოს, ან გაჩუმდესო“. ახლაც ეთანხმებით მის ამ მოსაზრებას?**

— მან ეს ზოგადად თქვა, მე კი ვეთანხმები, კერძოდ, იმ ნაწილში, რომ სჯობს, ოპოზიციონერმა ლიდერებმა განსხვავებული პოზიციები შიგნით, ერთმანეთში მსჯელობისა და დისკუსიის დროს წარმოვადგინოთ და უკეთესია, თუ ასეთი განცხადებები საჯაროდ არ გაკეთდება.

**— იმავე შეხვედრაზე თქვენ პრეტენზია გამოთქვით ზოგიერთი კოლეგის მიმართ იმასთან დაკავშირებით, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციის შიდა თათბირებზე მათგან ისმენთ ერთ რამეს, მოგვიანებით კი ტელევიზიით იგივე ლიდერები სულ სხვა რამეს აცხადებენ. რამდენად ხშირია ასეთი შემთხვევები ოპოზიციონერ ლიდერთა მხრიდან?**

— არა, მე ზოგადად ვთქვი, რომ ასე არ შეიძლება, ისე, როგორც თქვენ ამბობთ, არ მითქვამს... მე ვამბობ, რომ შიგნით, დისკუსიების დროს ხშირად მომისმენია მიმდინარე აქციების მხარდამჭერი პოზიცია და იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც რამდენიმე პოლიტიკურმა ძალამ თქვა, რომ არ ეთანხმებოდა ამ აქციას. იყო ასეთი შემთხვევა, ახლა ამის დაკონკრეტება არ მინდა.

იხ. 4 გვ.

## პოზიცია

(მესამე გვერდიდან)

**— დღევანდელ შეხვედრაზე ასევე აღნიშნეთ, რომ ამ თვენახევარმა ძალიან წარმატებით ჩაიარა... ასე იყო?**

— დიახ.

**— და რომ „ზოგიერთი პოლიტიკური ძალის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება, ისიც წყალში ჩაყაროს, რაც უკვე გაკეთებულია...“...**

— არა, არა, თქვენ არასწორად გაიგეთ, მე სხვა რამ ვიგულისხმე. მე ვთქვი, რომ „წყალში არ უნდა ჩაიყაროს იმის გამო, რომ ვინმემ არ იფიქროს, ახლა საარჩევნო კონკურენციის დროაო“. თუ ვინმეს, ან ჩვენ გაგვიჩნდა იმის განცდა, რომ ახლა საარჩევნო კონკურენციის რეჟიმზე უნდა გადავიდეთ, ამან შეიძლება, მიღწეული შედეგები გააუფერულოს და წყალში ჩაყაროს. ჩვენ ამ პროცესს ისე უნდა შევხედოთ, როგორც ერთ მთლიანს, რომელიც არ დასრულებულა, — ეს იყო ჩემი პოზიცია.

საერთოდ, უკაცრავად, მაგრამ ახლა მე კომენტარებს ვაკეთო იმის შესახებ, თუ რას ვლაპარაკობდი, ვფიქრობ, არაკორექტულია.

**— მე ვფიქრობ, რომ არაკორექტული ის იქნებოდა, იმ შეხვედრის შემდეგ წავსულიყავი და ყველაფერი მოსმენილი თქვენთვის უთქმელად დამეწერა.**

— კი, მაგრამ თქვენ კითხვებს მისვამთ არასწორად. მაშინ მომასმენინეთ ჩანაწერი.

**— არსებობს ჩანაწერიც, დამერწმუნეთ...**

— მე მგონია, არ არის სწორი, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ და ვმსჯელობთ, თქვენ კი მოსმენილის საკუთარ ინტერპრეტაციას ახდენთ. ჩვენ ახლა ის შეხვედრა უნდა განვიხილოთ თუ ინტერვიუ უნდა მოგცეთ? ვერ ვგებულობ, ახლა რას ვაკეთებთ.

**— იმ შეხვედრის შესახებ იმიტომ გეკითხებით, რომ თქვენს მიერ მაშინ დაფიქსირებული და ჩემს მიერ მოსმენილი პოზიციები ძალიან საინტერესო იყო...**

— კი, მაგრამ თქვენ საკუთარ ინტერპრეტაციას ახდენთ, როგორ ვიფიქრე და ვთქვი...

**— მე ნამდვილად არ ვიცი, რას ფიქრობთ, მაგრამ ზუსტად მოვისმინე, რა თქვით ...**

— არ გიწერიათ სწორად.

**— კონკრეტულად რა, ქალბატონო ეკა?**

— თუნდაც ბოლოს რაც შეგისწორეთ, თავიდან ხომ არ გავიმეორებ ყველაფერს?!

**— მაშინ დეტალურად გავიმეორებ, რა ბრძანეთ შეხვედრაზე: „იქ რომ სხედან, არაფერს ამბობენ და ტელევიზიით ისეთ რამეებს მეტყვიან, ვგიჟდები“.**

— არა, არ არის სწორი, თქვენ ახლა შეხვედრის სტენოგრამას აკეთებთ? ასეთი რამე არ მითქვამს. მე ვთქვი, რომ ხშირ შემთხვევაში იყო აზრთა სხვადასხვაობა, რაც ძალიან კარგია და თუ ვინმეს აქვს განსხვავებული ხედვები, ეს შეიძლება, ისე წარმოაჩინოს, როგორც საკუთარი ინიციატივა და არ დააზიანოს საერთო ერთობა. ხშირად შეიძლება, რაღაც პოზიციას არ დაეთანხმო, რაც კარგია. თუ ახლა განცხადებას აკეთებ საჯაროდ და ამბობ, რომ მე ამ საკითხზე განსხვავებული პოზიცია მაქვს, იყო შემთხვევა, როდესაც არ მომისმენია ეს პოზიცია შიგნით მსჯელობის დროს. ყველაფერი ხომ არ არის ღია, არის რაღაცები, რაც დახურულია და ასეც უნდა იყოს. იყო ასეთი შემთხვევა და მე მირჩევნია, პირადად მოვისმინო ჩემი კოლეგისგან ის პოზიცია, ვიდრე ეთერით.

**— კეთილი, გადავიდეთ სხვა საკითხზე. თქვენ ითხოვთ, რომ პრეზიდენტთან მეორე შეხვედრის გამართვის შემთხვევაში შეიცვალოს ოპოზიციური ჯგუფის შემადგენლობა. რატომ?**

— ის ოთხი ადამიანი, რომელიც პრეზიდენტს შეხვდა, მაშინ ოპოზიციის საერთო გადაწყვეტილებით იყო შერჩეული. ახლა სხვა მოცემულობაა. ალასანია ამბობს, რომ სხვა ხედვა აქვს, იგივეს ამბობს „ფორუმი“. თუ შეხვედრის აუცილებლობა დღის წესრიგში დადგება, შემდეგ გადავწყვეტთ, ვინ წავა. ის იყო იმ ერთი შეხვედრისთვის მიღებული გადაწყვეტილება.

**— თქვენ ბრძანებთ, რომ ოპოზიცია ერთიანი რჩება მთავარში — პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნაში. მაშინ რატომ აქვს ოპოზიციური ჯგუფის შემადგენლობას ესოდენ დიდი მნიშვნელობა?**

— გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან იქ გადაწყვეტილებების მიღება არ ხდება, ხდება პოზიციის დაფიქსირება. გადაწყვეტილება საერთო ოპოზიციურმა ერთობამ უნდა მიიღოს. იმ ოთხკაციან დელეგაციას მაშინ ჩვენი პოზიცია უნდა მიეტანა პრეზიდენტამდე და სააკაშვილის პოზიცია მოეტანა ჩვენამდე. იქ ისინი გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებდნენ, ისევე, როგორც ვერ მიიღებს სხვა ჯგუფი. გადაწყვეტილება ერთობამ უნდა მიიღოს.

**— რაც შეეხება პატრიარქის გუშინდელ განცხადებას, თქვენ თუ იცოდით ბოლო დღეებში, უწმიდესი რომ ასეთი შინაარსის მიმართვას ამზადებდა? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ძმები გაჩეჩილაძეები და ნინო ბურჯანაძე პატრიარქს წინა დღით შეხვდნენ და საპატრიარქოში თქვენც ბრძანდებოდით.**

— არა.

**— რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, საპატრიარქოში ყოფნისას თქვენ მეუფე იობს შეხვდით. რას უკავშირდებოდა ეს შეხვედრა?**

— სასულიერო პირებს სასულიერო საკითხებზე ვესაუბრები.

**— დაბოლოს, არ შემიძლია, არ გკითხოთ ოქრუაშვილის საქართველოში ჩამოსვლაზე. ხომ არ გადაიფიქრა მან დაბრუნება?**

— არა, არ გადაუფიქრებია, მაგრამ ამ საკითხზე პრესასთან არ ვსაუბროგ. ოქრუაშვილის თემაზე შევწყვიტოთ საუბარი. ჩვენ ირაკლის თემაზე კითხვებზე პასუხებს არ ვიძლევით, რადგან ის თავად გააკეთებს განცხადებას, როცა საჭიროდ ჩათვლის.

**— თუმცა იმაზე, რის კითხვასაც ვაპირებდი თქვენთვის, ოქრუაშვილი პასუხს ვერ გამცემს, რადგან საქართველოში არ იმყოფება...**

— გისმენთ.

**— მისი ჩამოსვლა თუ არის შეთანხმებული ოპოზიციასთან? რადგან...**

— კითხვებს უპასუხოდ გიტოვებთ. ამ კითხვებზე ვერ გიპასუხებთ. სხვა დროს იყოს, მოვა ამის დროც.

**მინდია აფციაური.**
**„პირველი“**

# ეკა ბესელია: „კარგი იქნება, თუ პარტიები განსხვავებულ მოსაზრებებს ისე წარმოაჩენენ, რომ სხვებს ჩრდილი არ მიაყენონ და არ შეურაცხყონ“



## ინფორმაცია



### ნატოში გაწევრების მამოძრავებელი ძალა ქარტიაა

**აშშ-ში ვიზიტად მყოფი საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით სიხარულიძე თავის ამერიკელ კოლეგას რობერტ გეიტსს შეხვდა.**

**მხარეებმა ორი ქვეყნის მიერ ხელმოწერილი ქარტიის ფარგლებში უსაფრთხოების გაძლიერებაზე, ასევე საქართველოს შეიარაღებული ძალების საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობაზე ისაუბრეს.**

**საქართველოს თავდაცვის მინისტრის დავით სიხარულიძის განცხადებით, საქართველოს ნატოში გაწევრების მამოძრავებელი ძალა, შესაძლოა, სწორედ ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილი ქარტია გახდეს.**

**— ჩვენ ვისაუბრეთ უსაფრთხოების გარემოზე საქართველოში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივებზე და იმ თანამშრომლობაზე, რომელიც ჩვენ გვაქვს შეერთებულ შტატებთან, — განაცხადა სიხარულიძემ.**

**სიხარულიძის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ქარტიაში აღნიშნული ყველა მიმართულებით გაღრმავდეს ურთიერთობები.**

**— მე ვიტყოდი, რომ ჩვენი ნატოში გაწევრების სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა შეიძლება ქარტია გახდეს, — განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

## თვალსაზრისი

# კიდევ ერთხელ საკონსტიტუციო ცვლილებების პარადოქსებზე

საქართველოში ჩამოყალიბებული პოლიტიკური და მმართველობითი კრიზისი ქვეყანაში დამკვიდრებული კონსტიტუციური რეჟიმისა და კონსტიტუციისადმი ხელისუფალთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულების პირდაპირი შედეგია. მისი „სასტარტო“ პირობები 1992 და 1995 წლებში მიღებულმა საკონსტიტუციო აქტებმა განაპირობა. მ. სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში პრობლემები კიდევ უფრო აშკარად გამოიკვეთა.

დღიდან გაპრეზიდენტებისა, საქართველოს კონსტიტუცია მ. სააკაშვილის „უბის წიგნაკად“ იქცა.

მიუხედავად ამისა, 2004 წელს არალეგიტიმური პარლამენტის მიერ განხორციელებული კონსტიტუციური რეფორმის, აგრეთვე, შემდგომში პრეზიდენტის ინიცირებითვე შესული 12 შესწორების შედეგად საქართველოს კონსტიტუციამ 74 ცვლილება-დამატება განიცადა. აქედან 22 ცვლილება, მ. სააკაშვილის „თვითმომსახურებით“, პრეზიდენტის უფლებამოსილებებს შეეხო.

უკანასკნელ პერიოდში შექმნილი კრიზისული ვითარებიდან გამოსავლის ძიება მ. სააკაშვილმა კონსტიტუციური იდეების გაპიარებით დაიწყო — გასული წლის ბოლოს გააკეთა საჯარო განცხადება საკუთარი უფლებების შეზღუდვით პარლამენტის უფლებამოსილებების გაზრდის თაობაზე. წინასაახალწლოდ კი, 29 დეკემბერს, პარლამენტში შევიდა მ. სააკაშვილის მიერ ინიცირებული კონსტიტუციური კანონპროექტი, რომელიც ადრინდელ დაპირებას აღარ ითვალისწინებს (იხ.: „ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების პარადოქსები“, გაზ. „რეზონანსი“, 2009 წლის 10 თებერვალი). საქართველოს პარლამენტმა 30 დეკემბერს კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიაც შექმნა. აღნიშნული ინიციატივა მხოლოდ პიარისთვის იყო გათვალისწინებული და ეს იმითაც დასტურდება, რომ კანონპროექტი „საკანონმდებლო მაცნეში“ არ გამოქვეყნებულა.

დღეს უკვე ვხედავთ საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ ქრისტიან-დემოკრატთა საპარლამენტო ფრაქციის ინიციატივით წამოწყებულ ახალ პიარკამპანიას. ამ ინიციატივას მრავალგანზომილებიანი საფუძველი აქვს. ცალსახაა ე. წ. მევალეობის გამოხატულება. ნაციონალების მიერ სასწრაფოდ ორგანიზებულმა საპარლამენტო- საარჩევნო კამპანიამ იმდენი უხერხულობა გამოიწვია, რომ საჭირო გახდა ე. წ. საპარლამენტო ოპოზიციის შეკოწიწება. სწორედ ამ მონდომების შედეგად სამთვიანი ისტორიის მქონე პარტია საარჩევნო რეიტინგით მეორე აღმოჩნდა პარლამენტში, თუმცა მისგან საპარლამენტო ფრაქციის გამოსაჩეკად კონსტიტუციური ნორმის შეცვლა გახდა აუცილებელი. მევალეობა უამრავი თანამდებობის გამოყოფითაც გაფორმდა. ამ ორი პოლიტიკური გუნდის დაახლოება შემდეგმა ფაქტმაც დაადასტურა: აჭარის უმაღლეს საბჭოში სამმანდატიანი ფრაქციის შესაქმნელად ქრისტიან-დემოკრატებს „მხოლოდ“ 2 მანდატი დააკლდათ. საარჩევნო კომისიამ ორ ოლქში მაჟორიტარული არჩევნების შედეგები გაყალბებულად გამოაცხადა და უკონკურსო მეორე ტურის შემდეგლა მოხერხდა ქრისტიან-დემოკრატების ფრაქციის შექმნა.

ვალების გასტუმრების დროც დადგა და უნიკალური გამოსავალიც მოიძებნა. უთუოდ ორმხრივი შეთანხმება უნდა ედოს საფუძვლად იმას, რომ მცირერიცხოვანი ფრაქცია თავის თავზე იღებს საკონსტიტუციო რეფორმის ტვირთს და, თავის მხრივ, მმართველი პარტია მას ანდობს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ფორმირებას.

რაც შეეხება საკონსტიტუციო რეფორმის კურსთან დაკავშირებულ მოსაზრებებს:

იმთავითვე თვალში საცემია დასახული მიზნისა და ამ მიზნის რეალიზაციისათვის აუცილებელ საშუალებათა შეუსაბამობა. ქრისტიან-დემოკრატების ფრაქციის ლიდერებისაგან გვსმენია, რომ მათი მიზანი საპარლამენტო მოდელზე ორიენტირებული კონსტიტუციის პროექტის შემუშავებაა, თანაც ერთობ შეუსაბამო კონტექსტში — „ძლიერი პარლამენტი და დაბალანსებული პრეზიდენტი“. ქრისტიან-დემოკრატების მიერ საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ დასახელებულმა ა. დემეტრაშვილმა კი განაცხადა — „საკითხის მოგვარება“ შესაძლებელია ცალკეული „ჩასწორებებით“ და რომ მისი მომზადება დათქმულ 31 დეკემბერზე გაცილებით ადრე შეიძლებაო.

ბატონი ა. დემეტრაშვილი 1993-1995 წლებში საკონსტიტუციო კომისიის მდივნის მოვალეობას ასრულებდა. სხვათა შორის, მას 1995 წლის კონსტიტუციის მიღებამდე ათიოდე დღით ადრე დაწყებული მოდელური ცვლილებებით გამოწვეული „ჩასწორებებისათვის“ მეტი ყურადღება რომ დაეთმო, იმ კონსტიტუციას იმდენი ხარვეზები არ დაჰყვებოდა და, შესაძლებელია, დღეს ამგვარ კრიზისულ ვითარებასაც ავცდენოდით.

ბატონ ა. დემეტრაშვილს ახლალა წამოსცდა, რომ ასრულებდა საკონსტიტუციო კომისიის იმჟამინდელი თავმჯდომარის ე. შევარდნაძის პირად მითითებებს. სხვათა შორის, ა. დემეტრაშვილს შევახსენებთ, რომ ასეთი „მსახურება“ მაშინ მას უხვად დაუფასდა: ჯერ კიდევ საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნამდე მის წევრად დაინიშნა, შემდეგ კი თავმჯდომარეც გახდა. იგი ჩართული იყო აგრეთვე შესაბამისი კანონმდებლობის მომზადებაში, რომელიც სერიოზული ხარვეზებით იქნა მიღებული და ამოქმედებული.

თუ მიგვაჩნია, რომ მოცემულ ინიციატივას სერიოზული მიზანი აქვს, ყურადღება უნდა მიექცეს საკონსტიტუციო კომისიის ფორმირების წესსაც. კომისიის შესაძლო წევრთა შორის ისინიც გამოჩნდნენ, რომლებიც მ. სააკაშვილის უკანასკნელი ინიციატივის საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ, მაგრამ პარლამენტის დადგენილება არ შეასრულეს. როგორც ჩანს, ისინი ზუსტად მიხვდნენ მ. სააკაშვილის ინიციატივის საპიარო დატვირთვას. მთელმა ამ კამპანიამ ერთპარტიული სახელმწიფო მმართველობის პირობებში იგივე ფუნქცია რომ არ შეიძინოს, შემოქმედებითი საკონსტიტუციო პროცესი თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკურ ძალთა ზეწოლისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მმართველი პარტიის ინტერესებზე მორგებული „ბუფერული“ გუნდის ეს ინიციატივა, უკვე მერამდენედ, მოგვცემს ხელისუფლების წყაროდ აღიარებულ ხალხზე პოლიტიკური ნებით თავსმოხვეულ კონსტიტუციას.

არ გვინდა დავიჯეროთ, რომ საკონსტიტუციო კომისიაში იმდენად, რბილად რომ ვთქვათ, გულუბრყვილო ადამიანები შეიკრიბნენ, რომლებმაც დაიჯერეს — 5 წლით საპრეზიდენტო რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეული მ. სააკაშვილი მწვანე შუქს მისცემს საპარლამენტო მოდელის კონსტიტუციურ პროექტს. კიდევ უფრო დაუჯერებელია, რომ „სეზონურ“ კონსტიტუციურ ცვლილებებში უნდა ვეძებოთ კრიზისული მდგომარეობიდან გამოსავალი.

მთელი ჩაფიქრებული პროცესი „მზრუნველ“ ნაციონალებთან ქრისტიან-დემოკრატების მევალეობრივი ვალდებულების გამოვლინებაა. ამასთანავე, ასეთი ინიციატივით ქრისტიან-დემოკრატები ნაციონალების სასარგებლოდ ჩვენს ზოგიერთ დასავლელ მეგობრებსაც აწვდიან სერიოზულ არგუმენტს, თითქოს საქართველოში დემოკრატიის მშენებელი მ. სააკაშვილი ახალი კონსტიტუციური რეფორმით აპირებს კრიზისის დაძლევას და ამ საქმეში მას მხოლოდ ოპოზიცია უშლის ხელს.

და თუ მაინც პოლიტიკურად იმდენად უმწიფარნი ვართ, რომ გვიჭირს ობიექტურად შევაფასოთ ამ ინიციატივის ნამდვილი მიზანი, ამაზე მაინც ხომ უნდა ვიფიქროთ — იგი დროის გაჭიანურებაზეა ორიენტირებული; ვაი, რომ 2013 წლამდე.

**ოთარ მელქაძე,**
**იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, „ქართული აკადემიის“ წევრი**

განსჯა

**სავარაუდოდ, თუ რა შედეგს შეიძლება ველოდოთ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაგეგმილი მოლაპარაკებებისგან, რამდენად შესაძლებელია ხელისუფლება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაზე დათანხმდეს და იმის შესახებ, თუ, სავარაუდოდ, რა მხარდაჭერით სარგებლობენ საზოგადოებაში ხელისუფლება და ოპოზიცია, „ინტერპრესნიუსი“ სოციოლოგ იაგო კაჭკაჭიშვილს ესაუბრა.**

# იაგო კაჭკაჭიშვილი: არჩევნების სამართლიანად ჩატარების შემთხვევაში ოპოზიციურ სპექტრს პარლამენტში უმრავლესობის მოპოვების შანსი აქვს

**— ბატონო იაგო, მას შემდეგ, რაც ირაკლი ალასანიამ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების დაწყების მზადყოფნის შესახებ განაცხადა, აქტუალურია კითხვა, რამდენად შედეგიანი შეიძლება აღმოჩნდეს ხელისუფლებასა და ოპოზიციის ერთ ნაწილს შორის მოლაპარაკებები?**

— მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ დაიწყო ინტენსიური აპელირება იმაზე, რომ მზად არის დიალოგის რეჟიმში იქონიოს ურთიერთობა ოპოზიციასთან, მოლაპარაკება, როგორც პოლიტიკური ინტერაქციის ინსტრუმენტი, რთულად, მაგრამ მაინც ჩაერთო არასაპარლამენტო ოპოზიციის ბრძოლის არსენალში. თუმცა, არასაპარლამენტო ოპოზიცია ყოველთვის აცხადებდა, რომ მოლაპარაკებები გაიმართება მხოლოდ ერთადერთ საკითხზე — სააკაშვილის გადადგომის მექანიზმებთან დაკავშირებით. მოგვიანებით გაჩნდა ამ მოთხოვნის შედარებით უფრო რბილი ვარიანტი (რომლის ინიციატორიც, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იყო „ალიანსი საქართველოსთვის“) — არასაპარლამენტო ოპოზიცია პოლიტიკური კრიზისიდან გამოსავალს ხედავს მხოლოდ სააკაშვილის გადადგომაში, თუმცა, იმავდროულად, მოისმენს ხელისუფლების გეგმასაც, თუ როგორ დააღწიოს ქვეყანამ თავი პოლიტიკურ კრიზისს. ეს ორი — ხისტი და შედარებით რბილი — პოზიცია, რამდენადმე, დისონანსურად თანაარსებობდა ადრეც და ახლაც. ამ დისონანსის არსი ის არის, რომ თუ მოლაპარაკებები უნდა შეეხოს მხოლოდ სააკაშვილის გადადგომას, მაშინ რაღა აზრი აქვს ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ პროექტს კრიზისიდან გამოსვლასთან დაკავშირებით? თუ მოლაპარაკება უპირობოდ შეიძლება გაიმართოს მხოლოდ ერთადერთ თემაზე — როგორ წავიდეს სააკაშვილი — მაშინ აღარ უნდა გაინტერესებდეს, თუ რას ფიქრობს ხელისუფლება კრიზისიდან გამოსვლის გზებზე. ბოლო დღეებში ამ შეუთავსებლობას ნიადაგი გამოაცალა ირაკლი ალასანიამ, რომელსაც გამოთქვა ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების მზადყოფნა იმ წინაპირობის გარეშე, რომ მოლაპარაკება შეიძლება შეეხოს მხოლოდ პრეზიდენტის გადადგომის მექანიზმებს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ალასანიას განცხადებით მოლაპარაკებებზე მათი მხრიდან აუცილებლად იქნება დაყენებული საკითხი ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ, მაგრამ ის, რომ ეს იქნება მოლაპარაკებების ერთადერთი თემა, ალასანიას არ უთქვამს. ასე რომ, ოპოზიციის სპექტრში იკვეთებიან მოლაპარაკებებზე წამსვლელი პოლიტიკური ფიგურები სააკაშვილის გადადგომაზე აქცენტის დასმის გარეშე. ჯერ ბოლომდე ნათელი არ არის, არის თუ არა ოპოზიციური პოლიტიკური ნაკადის საპირისპიროდ გაკეთებული ეს განცხადებები მხოლოდ ალასანიას, თუ მთელი ალიანსის პოლიტიკური პოზიცია.

გაიმართება თუ არა ახალი ფორმატით ან საერთოდ იქნება თუ არა წარმატებული მოლაპარაკებების ახალი ტალღა, ამას დრო და მომავალი გვიჩვენებს. თუმცა, ერთი რამ ცხადია — თუ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებზე წასვლა და სხვა პოლიტიკურ პროექტებზე აქცენტის დასმა, ვიდრე სააკაშვილის გადადგომაა, იქნება ერთი რომელიმე, ცალკეული პოლიტიკური პარტიის ინიციატივა, სავსებით შესაძლებელია, ეს ინიციატივა იქცეს მარგინალურად და საპროტესტო ელექტორატის მხარდამჭერის მიღმა აღმოჩნდეს.

ამგვარი საფრთხე არსებობს, ვინაიდან დღევანდელი ოპოზიციური მეინსტრიმი, ძირითადად, გაჯერებულია სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით. ცხადია, არ ვამბობ, რომ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნა არის ერთადერთი სწორი მოთხოვნა, რომელსაც ოპოზიციური სპექტრი აყენებს, პირიქით, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ სხვა მოთხოვნები უფრო ეფექტიანია, ხელისუფლების მხრიდან ამ მოთხოვნებზე რეალური რეაგირების თვალსაზრისით, ვინაიდან ყველანი ვხედავთ, რომ სააკაშვილს გადადგომის პოლიტიკური ნება არა აქვს. თუმცა, ვიმეორებ, ვიდრე სხვა პოლიტიკური პროექტი, სააკაშვილის გადადგომის გარდა, არ გახდება ოპოზიციური პოლიტიკური მეინსტრიმის შემადგენელი ნაწილი, მანამდე ის დგას იმ რისკის წინაშე, რომ იქცეს მარგინალურად. ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ იმ ოპოზიციურმა პარტიებმა, ვინც ხელისუფლებასთან ახალი ფორმატით მოლაპარაკებებზე მიდის.

**— თუ ხელისუფლებამ მოლაპარაკებაზე წასულ ოპოზიციას მეტ-ნაკლებად მისაღები წინადადებები არ შესთავაზა, ოპოზიციურ ფლანგზე რადიკალური მოქმედების მომხრეთა ფრთა გაძლიერდება. ამ ფონზე შეიძლება თუ არა ვივარაუდოდ, რომ ხელისუფლება მოლაპარაკებაზე წასულ ოპოზიციის ნაწილს წინადადებების სერიოზულ პაკეტს შესთავაზებს?**

— ეს რთული სათქმელია. რამდენადაც ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელი მიესალმა მოლაპარაკებებში ჩართვაზე ალასანიას განზრახვას, შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლებამ მოლაპარაკების პროცესში უფრო მეტ კომპრომისზე წავიდეს, ვიდრე აქამდე მიდიოდა. ფაქტია, შენარჩუნება იმისა, რაც პირველ მოლაპარაკებაზე გაამჟღავნა ხელისუფლებამ, არ შეიძლება იყოს პროგრესის ნიშანი. სავსებით შესაძლებელია, რომ ხელისუფლებამ სხვა კომპრომისული წინადადებები წამოაყენოს, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ეს კომპრომისული წინადადებები არ იქნება საპრეზიდენტო არჩევნები. ყველაზე დიდი, რაც შეიძლება ხელისუფლებამ დათმოს, საპარალამენტო არჩევნებია, თუმცა, მე არც ამაში ვარ დარწმუნებული.

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების იდეა, შეიძლება, მართლაც აღმოჩნდეს მუშა იდეა ოპოზიციური მოთხოვნების დასაკმაყოფილებად. მაგრამ ეს მაშინ, თუ ეს იდეა მიიღო საზოგადოებამ, როგორც კრიზისის დაძლევის ეფექტიანი გეგმა. ამ შემთხვევაში, ის პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გაგონებაც არ სურთ, შეიძლება, ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და დაკარგონ საზოგადოების მხარდაჭერა. მოლაპარაკებაზე წასვლის გამო დღეს რისკის წინაშე ირაკლი ალასანია დგას (მან უკვე მოისმინა მისი მისამართით გაკეთებული საკმაოდ მწვავე განცხადებები ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერის მხრიდან), მაგრამ თუ მოხდა ისე, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ოპოზიციურ პოლიტიკურ მეინსტრიმად იქცა, მაშინ სხვა პარტიები იქცევიან მარგინალებად.

**— კრიზისის დასაძლევად ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ბევრი გამოსავლად კი მიიჩნევს, მაგრამ არსებობს ასეთი მოსაზრებაც, რომ არჩევნების შედეგად პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა ოპოზიციის სასარგებლოდ არ შეიცვლება. თქვენ ეთანხმებით ამგვარ მოსაზრებას?**



— ამ მოსაზრებას მე არ ვეთანხმები. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ვამბობ, რომ ეს არ არის სწორი გათვლა. თუ არჩევნები მეტ-ნაკლებად სამართლიანად ჩატარდა და ადგილი არ ექნა გაუგონარ გაყალბებას, პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა ბალანსი მნიშვნელოვნად შეიცვლება.

დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი თბილისში გახლავთ 10,8პროცენტი, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. რეგიონებში ეს მაჩვენებელი შედარებით მაღალია. თუ ჩვენ ავიღებთ ოპოზიციური ჯგუფების მიმართ საზოგადოების მხარდაჭერის ჯამურ მაჩვენებელს (ამაში იგულისხმება საპარლამენტო ოპოზიციაც, კერძოდ, თარგამაძის „ქრისტიან-დემოკრატები“, ვინაიდან სხვა საპარლამენტო ოპოზიციური ძალების რეიტინგი, პრაქტიკულად, ნულოვანია), ეს შესაძლებლობას იძლევა, ვიფიქროთ, რომ მომავალ პარლამენტში მანდატების უმრავლესობას ოპოზიცია მიიღებს. ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზის შემთხვევაში, არც ის არის გამორიცხული, რომ საპარლამენტო არჩევნებზე ოპოზიციამ საკონსტიტუციო უმრავლესობაც მიიღოს. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ მმართველი პარტიის რეიტინგის დინამიკა ბოლო თვეების განმავლობაში დაღმავალია. თუ არჩევნები გაყალბდა და გაყალბების დონე იქნა 10-15 პროცენტი, ამ შემთხვევაში ოპოზიციას წონადი უმრავლესობის აღება, შესაძლოა, გაუჭირდეს, მაგრამ მათი მანდატების რაოდენობა მაინც მეტი იქნება, ვიდრე — „ნაცმოძრაობის“.

ეს გათვლა დღევანდელ ვითარებას შეესაბამება. თუმცა, თუ საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება და მმართველი პარტია საარჩევნო კამპანიაში თავისი პიარ-ტექნოლოგიებითა და საზოგადოებაზე ზემოქმედების ინსტრუმენტებით მონოპოლისტურად ჩაერთვება (რაც ყველაზე აგრესიულად 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე განხორციელდა), შესაძლოა, საზოგადოებაში არსებულმა განწყობებმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადოს.

**— თქვენი მტკიცებით, ხელისუფლება და ოპოზიცია საზოგადოებაში თანაბარი მხარდაჭერით სარგებლობენ?**

— გამოკითხვის შედეგებით, თბილისში, საარჩევნო ასაკის მქონე ყოველი მეორე მოქალაქე მხარს უჭერს სააკაშვილის გადადგომას. ეს არ ნიშნავს რომ, მეორე 50 პროცენტი წინააღმდეგია პრეზიდენტის გადადგომის. ამ 50 პროცენტიდან დაახლოებით მესამედია იმ თბილისელთა ხვედრითი წილი, რომლებიც მხარს არ უჭერენ სააკაშვილის გადადგომას, თუმცა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს კატეგორია სააკაშვილის საქმიანობას ერთმნიშვნელოვნად დადებითად აფასებს. არსებობს სააკაშვილის გადადგომის არმომხრეთა ისეთი ნაწილიც — და კვლევა აჩვენებს, რომ ეს არის დაახლოებით 10-15 პროცენტი, რომელიც სააკაშვილის საქმიანობას უარყოფითად აფასებს, მაგრამ პრეზიდენტის გადადგომის მომხრე არ არის. ამ ნაწილს სხვადასხვა მოტივაცია ამოძრავებს: ზოგი ფიქრობს, რომ დროა, საქართველო დაემსგავსოს დემოკრატიულ ქვეყანას, როდესაც ხელისუფლება კონსტიტუციით განსაზღვრულ საარჩევნო ვადებში იცვლება; ზოგიც კრიზისის დასაძლევად საკმარისად მიიჩნევს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას და ა. შ.

რასაკვირველია, სააკაშვილი მარტო თბილისის პრეზიდენტი არ არის, ის საქართველოს პრეზიდენტია, ამიტომ მნიშვნელოვანია სწორედ საქართველოს ამომრჩევლებში არსებული განწყობებისა და შეფასებების გათვალისწინება. გამოკითხვები აჩვენებს, რომ ქვეყანაში ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით პოზიციები გაყოფილია. სააკაშვილის გადადგომას ითხოვს ან ამას ეწინააღმდეგება ამომრჩევლების დაახლოებით ერთი და იგივე რაოდენობა (42 პროცენტი, პლუს-მინუს 2 პროცენტით). ეს იმას ნიშნავს, რომ მთლიანად ქვეყანაში სააკაშვილი ლეგიტიმურობის ზღვარზე დგას.

**კობა ბენდელიანი**

ჟურნალისტური გამოძიება

# ამბავი აფხაზეთში ტყვედ ნამყოფი რკინიგზელებისა



**ყველა დროის ქართველ მეომართა ხსოვნის პატივსაცემად ჩავატარეთ ეს ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც ეხება თავდაცვის სამინისტროს 23-ე მოტომსროლელი ბრიგადის რკინიგზელთა მე-8 სპეცდანიშნულების რაზმის მეომრებს და იმათ მეთაურს.**

**რატომ დავინტერესდით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კონკრეტულად ამ და არა სხვა სამხედრო ქვედანაყოფით?**

საქართველოს 1992-2003 წლების ხელისუფლებამ აღნიშნული რაზმის 31 მებრძოლს და იმათ მეთაურს — ზურაბ მამულაშვილს (იმ დროისთვის საქართველოს რკინიგზის შეიარაღებული დაცვის სამსახურის უფროსი და შსს ტრანსპორტის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე, სამხედრო გენერალი) ფაქტობრივად ბრალი დასდო სამშობლოს ღალატში აფხაზ სეპარატისტებთან ტყვეობაში ყოფნის გამო... ეს ბრალდება დღემდე უმძიმეს მორალურ ტვირთად აწევთ რაზმის მეომრებს და იმათ მეთაურს.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ხელისუფლებას ამგვარი განაჩენის გამოტანამდე უნდა ჩაეტარებინა მოკვლევა და მოპოვებული ფაქტების ანალიზის საფუძველზე დაედგინა სპეცრაზმელთა და იმათი მეთაურის ტყვედ ჩაბარების მიზეზი. დარწმუნებული ვარ, არსებული რეალობიდან გამომდინარე, მეომართა მოქმედება შეფასდებოდა როგორც ქვეყნის ინტერესების დაცვის მიზნით გადადგმული ნაბიჯი და უმძიმესი ბრალდების ნაცვლად სახელმწიფო ჯილდოებიც კი გადაეცემოდათ.

1994 წელს საქართველოს რკინიგზის უფროსმა რემი ვაშაკიძემ და შსს ტრანსპორტის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა, აფხაზეთის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარემ გენერალმა დავით გულუამ მეომრები ჯილდოზე მართლაც წარადგინეს, რაც ხელისუფლებამ არ დააკმაყოფილა და არც თავის ამგვარ მოქმედებას კანონის შესაბამისი ოფიციალური განმარტება მისცა, რაც ხელისუფლების მხრიდან ადამიანის უფლებებისა და ღირსების აშკარა უგულებელყოფას ნიშნავს.

თავდაცვის სამინისტროს 23-ე მოტომსროლელი ბრიგადის რკინიგზის მე-8 სპეცდანიშნულების რაზმის მეომრები, იმათი მეთაური ზურაბ მამულიშვილი და მისი ვაჟიშვილი (14 წლის უშანგი მამულაშვილი) ერთად იბრძოდნენ 1992 წლის დეკემბრიდან 1993 წლის ივლისამდე. იმ დრომდე, სანამ ერთად არ მოხვდნენ ტყვეობაში, სადაც თვენახევარი დაჰყვეს, და საიდანაც საერთაშორისო წითელი ჯვრის მეშვეობით გათავისუფლდნენ. ხელისუფლებამ ზურაბ მამულაშვილს ბრალდება წაუყენა მხოლოდ სიტყვიერად — ტყვედ იმიტომ ჩაბარდი, ვაჟიშვილის გადარჩენა გინდოდაო.

ამ დროს, 1994 წელს, იმავე რემი ვაშაკიძისა და დავით გულუას ერთობლივი წარდგინების საფუძველზე ვახტანგ გორგასლის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით დააჯილდოვეს ამ რაზმიდან აფხაზეთში ბრძოლის ველზე დაღუპული 10 მებრძოლი და რიგითი 14 წლის უშანგი მამულაშვილი.

ჩვენი ჟურნალისტური გამოძიების შედეგად დადგინდა, თუ რამ განაპირობა კონკრეტული რაზმის ჩამოყალიბება და რატომ ჩაბარდა ტყვედ მოწინააღმდეგეს.

იხ. 9 გვ.




ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №140

# დიპლომატია და რუსი გენერლის მკვლელობა



*მარიამ დედოფალი, რომელსაც რუსი გენერლის ლაზარევის მკვლელობა ბრალდებოდა, დაატყვევეს და გადაასახლეს. გავიდა წლები და რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, იგივე დედოფალი გამორჩეული პატივით დაკრძალეს... მას გამოეთხოვა მთელი იმპერატორის კარი... და კუბოს მიწაში ჩაშვებისას, სამხედრო წესის თანახმად, არტილერიიდან ოცდათექვსმეტჯერ გაისროლეს...*

1895 წელს გაზეთში **„ივერია"** გამოქვეყნდა საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტის ქვრივის წერილი, სათაურით: **„მარიამ დედოფლის თხოვნა იმპერატორ ალექსანდრე პირველისადმი ტფილისიდან ვორონეჟში გამგზავრების წინ".**

„უუბედურესი ქვრივი, დედოფალი მარიამ უაღრესად გთხოვ: მასზედ წყალობითა შეისმინე ვედრება ჩემი, რადგან მრავალი უბედურება გამოვიარე. აპრილის თვრამეტს, შემოღამება იყო, როცა გენერალი ლაზარევი, მთელის როტით, მომადგა კარზედ. შემოიყვანა ჯარი და ყოველს ფანჯარაში და კარებში ჩაუყენა ჩემს სახლს... სართულები სულ ერთიანად გაივსო ჯარისკაცებით, რომლებიც შესვლა-გასვლას გვიკრძალავდნენ.

ლაზარევი აფიცერ-ყაზახებით შემოვიდა რა ჩემს ოთახში, მსწრაფლად დაითხოვა ყველა მსახურნი და მითხრა, რომ ახლავე ავმდგარიყავ და ჩემი შვილებით გავმგზავრებულიყავ, რისთვისაც ეტლი მოიტანა"...

თუ როგორ განვითარდა ეს ამბავი, ქვემოთ გიამბობთ, იქამდე კი – რატომ და როგორ დაიწყო ეს ყველაფერი:

ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წევრთა გადასახლება დიდი ხნის დაწყებული გახლდათ. რუსეთის მოხელენი ზედმიწევნით ასრულებდნენ რუსთა იმპერატორის ბრძანებულებებს – ქართული სახელმწიფოებრიობის ყველა ნიშანი, უპირველესად კი ბაგრატოვანთა სამეფო გვარი თანდათან უნდა აღგვილიყო საქართველოს მიწისგან.

რუსეთში იძულებით გადასახლებული დედოფლები, მეფეები თუ ბატონიშვილები **„უსამართლოდ წართმეული ტახტის დაბრუნებაზე"** ოცნებობდნენ ან ცხოვრების ახალ პირობებთან ერთად, იწყებოდა მათი ასიმილაცია, შეგუება... თითქოს ავიწყდებოდათ შეურაცხყოფილი სამშობლოც და საგვარეულოც. ქართველი მანდილოსნების ქმრებს ბრჭყვიალა ორდენებს ჰკიდებდნენ, შვილებს „სახაზინო ხარჯზე" სამხედრო სასწავლებლებში და რუსულ ლიცეუმებში აგზავნიდნენ. ბავშვობიდან უცხოეთის გარემოში აღზრდილი ბატონიშვილები ქართული სამეფო რეგალიების დაბრუნებაზე უკვე აღარ ფიქრობდნენ... ამას თანმიმდევრულად აღწევდა საიმპერატორო კარის პოლიტიკა და დიპლომატია.

* * *

საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის (ერეკლე II-ის ძის) დაქვრივებულ მეუღლეს რუსეთის მოხელის პირით შეატყობინეს, რომ სრულიად რუსეთის იმპერატორს სურს მეურვეობა გამოიჩინოს უმეუღლეოდ, მცირეწლოვან შვილებთან ერთად დარჩენილი მარიამ დედოფლის მიმართ და მთელი ოჯახით რუსეთში იხმობს.

**„უკეთუ ნებავს, აქაცა შემძლებელ არს, რათა მოწყალებით მომხედოს მეცა და შვილთა ჩემთა და უკეთუ არა ინებებს აქა მოწყალებასა, იყავნ ნება ხელმწიფისა!.."** – ასეთი იყო მარიამ დედოფლის პასუხი.

იმ ეპოქის დაშლილ, გაურკვეველი მოლოდინით ამღვრეულ საქართველოში, დედოფალს, თავისივე ღირსებების გამო, მტრები გამოუჩნდნენ, რომლებიც გამუდმებით შთააგონებდნენ მეფის მოხელე პავლე ციციანოვს, მარიამი რუსული მმართველობის სასტიკი წინააღმდეგიაო.

საქართველოს ცენტრალურ არქივში ინახება დედოფლის გერების (გიორგი XII-ის შვილები პირველი ქორწინებიდან) სოფიოს, გაიანეს და რიფსიმეს ხელნაწერი, გაგზავნილი პ. ციციანოვისადმი. როგორც ჩანს, მათ სურდათ შექმნილი მდგომარეობით ესარგებლათ და დედოფლის სახლსა და მამულს დაპატრონებოდნენ.

**„მის ბრწყინვალებას, უფალს, საქართველოს უპირატეს მთავარს, პავლე დიმიტრის ძე ციციანოვს, ჩვენს მოწყალე ხელმწიფეს!**

**ოდესცა ინებოს ბრწყინვალებამ თქვენმან და წარგზავნოთ დედოფალი მარიამ, ვითხოვთ, ჩვენ, სამნი დანნი, მეფე გიორგის ასულნი, უმდაბლესად, რომ იმისი სასახლე ჩვენ გვიბოძოთ, რადგან სამნივ უსახლონი გახლავართ და ამით ნუგეშულნი ვიქნებით მარადის მაღალ ბრწყინვალებისა თქვენისა უმდაბლესითა პატივისცემითა. მეფის ასული სოფია, მეფის ასული რიფსიმა, მეფის ასული გაიანე."**

მალე დედოფალს გიორგი XII-ის სასახლეში აღზრდილი აზნაური იოსებ კალატოზიშვილიც განუდგა. რუსეთის ჟანდარმერიას აცნობა, რომ მეფის ქვრივმა შვილებიანად თუშეთში თავის შეფარება და მიმალვა გადაწყვიტა.

მოვლენები სწრაფად განვითარდა: 1803 წლის 18 აპრილს პ. ციციანოვი იბარებს გენერალ-მაიორ ლაზარევს და ავალებს დედოფლის რუსეთში დაუყოვნებლივ გასახლებას.

**19 აპრილს კი დედოფლის წასაყვანად მისულ ლაზარევს ხანჯლით განგმირავენ.** ამ მკვლელობის გარემოებანი არაერთხელ იქნა გამოძიებული, არსებობდა სხვადასხვა ვერსია.

პ. ციციანოვის მოხსენება იმპერატორისადმი იუწყება, რომ გენერალ-მაიორ ლაზარევს დედოფალმა კაბის ქვეშ დამალული ხანჯალი ჩაარტყა და სასიკვდილოდ დაჭრა. ბატონიშვილი თამარ ბატონიშვილიც ასეთივე იარაღით მიეჭრა თბილისის პოლიცმეისტერს. თუმცა, ამ უკანასკნელმა დარტყმა აიცილა და ხანჯალი დედოფალ მარიამს მოხვდა ხელში.

ლაზარევის თანხმლებმა მაიორმა საააკაძემ თავის ვრცელ და არეულ ჩვენებაში დედოფლის ოჯახი მთელი საბრძოლო არსენალით წარმოადგინა: **„დედოფლის ოთახის გაჩხრეკისას ქვეშაგების ქვეშ ვნახე დამალული გატენილი თოფი და პისტოლეტი... იქვე იყო ხუთი თოფი, ორი პისტოლეტი, ორი ხანჯალი და ორ პატრონაში ვაზნები, რომლებიც მე და კავკასიის გრენადერთა პოლკის მაიორმა ჩხეიძემ დავლუქეთ".**

მოგვიანებით, 1894 წელს **„მოამბეში"** დაიბეჭდა პოლკოვნიკ როტიერის ეგრეთ წოდებული მოგონება ლაზარევის მკვლელობის შესახებ: „დედოფალი იმავე წამს წამოვარდა, ხელში ეჭირა ხანჯალი, რომელიც ჩასცა ლაზარევს მარცხენა გვერდში ისეთი ძალით, რომ ხანჯლის წვერი მეორე მხარეს გამოჩნდა... და შესძახა: „ასეთი სიკვდილის ღირსია ის, ვინც გაბედა და ჩემს უბედურებას უპატიურობაც დაართო"... ლაზარევი იქვე დაეცა და თითქმის მაშინვე დალია სული"...

**შეეფერება თუ არა ეს ჩვენებები სინამდვილეს?**

პლატონ იოსელიანის მონოგრაფია „ცხოვრება გიორგი XIII-ისა" განსხვავებულ სარწმუნო ინფორმაციას გვაწვდის. მწერლისა და მეცნიერის მტკიცებით, **ლაზარევის მკვლელი თავადი ნიკოლოზ ხიმშიაშვილია, რომელიც იმ საბედისწერო დღეს დედოფლის სახლში იმყოფებოდა: „შევიდა თვით ლაზარევი გამოსაყვანად მისსა. იყო დილა, 8 საათი დილისა. დედოფალმა მოსთხოვა დრო და მოთმინება – „შვილებსა წვრილებსა სძინავთო". ლაზარევმა ესე თხოვნა არ მიიღო. გაბედა და სტაცა ხელი და მრისხანედ უთხრა: „ეხლავე გამოდით! ჯარი ვერ მოგიცდისთ დიდხანსაო"... მაშინ, მუნ მყოფმან თავადმან ნიკოლოზ ხიმშიაშვილმან მსწრაფლ ამოიღო ხანჯალი, დასცა ლაზარევს მუცელში. ლაზარევი წაიქცა და თვით ხიმშიაშვილი მეორე ეზოს ბალკონით გავიდა ქალაქიდან და გაიქცა ახალციხეს...**

იმავე დღეს დედოფალი შვილებითურთ, რუსეთის გზას გაუყენეს და არა პატივით და ამალით, როგორც ადრე იმპერატორი სთავაზობდა, არამედ როგორც **მკვლელი და დამნაშავე.** მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ.

დედოფალი ზეპირად თუ წერილობით, ამაოდ იმართლებდა თავს: „მე დედოფალი მარიამ ვფიცავ ღმერთს და მის საიმპერატორო უდიდებულესობას, რომ არც მე და არც ჩემი მსახურნი, არც ისინი, ვინც ახლა ყარაულქვეშ იმყოფებიან უდანაშაულოდ, არაფერში დამნაშავენი არ ვართ"...

დედოფალი მარიამი ბელგოროდში ჩაიყვანეს და იქაურ დედათა მონასტერში მოათავსეს. სასტიკი მეთვალყურეობა დაუწესეს. ბინიდან ცოტა შორს გასვლაც ეკრძალებოდა... იმ წელს დედოფალი 34 წლის გახდა. დახვეწილი ნაკვთები ჰქონდა, არაჩვეულებრივი გარეგნობა, მაღალი იყო და მკაცრი მეფური გამომეტყველების... ჰყავდა ვაჟები – ჯიბრაელი 18 წლის, ილია 14-ის, ოქროპირი – 10-ის, ირაკლი – 6-ის. გოგონები – თამარ – 17 წლის, ანა – 3-ის. დედოფალს და ბატონიშვილ თამარს მუდამ ქართული ტანსაცმელი ეცვათ. გარეთ გასვლისას დიდ თავსაფარს შემოიხვევდნენ ხოლმე და სახეზე რაღაც იდუმალი იერი ჰქონდათ აღბეჭდილი. რუსეთში გადასახლებული მისი ობოლი შვილების ბედი შემდგომ ასე წარიმართა: ჯანმრთელობით სუსტი ჯიბრაელი 1812 წელს გარდაიცვალა; უფროსი შვილი მიხეილი ცხოვრების ბოლომდე მოსკოვში ცხოვრობდა და როგორც იგონებდნენ, მუდამ მოწყალებას არიგებდა; მესამე ვაჟი ილიაც მოსკოვში დასახლდა, დაქორწინდა სტატ-მრჩევლის ობოლენსკის ქალიშვილზე. მსახურობდა იზმაილოვის პოლკში პოლკოვნიკად. ილიას ცამეტი შვილი ჰყავდა. მეოთხე – ოქროპირი გრაფ პავლე კუტაისოვის ქალიშვილზე დაქორწინდა. დასაფლავებულია პიკროვსკის მონასტერში (მოსკოვი). უმცროსი ვაჟი ირაკლი არ დაქორწინებულა. გარდაიცვალა 1859 წელს, მოსკოვში. ქალიშვილი თამარი, აღმოსავლური ტიპის ლამაზმანი, რომელიც 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთ ლიდერად ითვლება, არ დაქორწინებულა. „ისე ეჭირა თავი, რომ ახლოს არავის იკარებდა" იგონებენ, თანამედროვენი. გადაასახლეს ვორონეჟში, შემდეგ ჩამოასვენეს და მცხეთაში დაასაფლავეს. უმცროსი ქალიშვილი ანა გათხოვდა თავად აბაშიძეზე. გარდაიცვალა მოსკოვში... ასე დაიფანტა უკანასკნელი ბაგრატოვანი მეფის შთამომავლობა...

* * *

დედოფალმა მარიამმა 47 წელი იცხოვრა რუსეთში. „საიმპერატორო უმაღლესობამ" მოსკოვში დასახლების



უფლება მისცა და ცხოვრების ნორმალური პირობები... მიმოწერაც ჰქონდა ახლობლებთან საქართველოსა და პეტერბურგში.

82 წლის დედოფალმა, როცა სიკვდილის მოახლოება იგრძნო, იმპერატორს მონატრებულ სამშობლოში დაბრუნება სთხოვა.

ხელმწიფე იმპერატორი – გრაფ ვორონცოვს: **საქართველოს დედოფალმა მარიამმა ითხოვა დაბრუნდეს საქართველოში, თავისი დარჩენილი დღეების გასატარებლად. დედოფლის საქართველომდე მგზავრობისთვის დადგინდა 4 ათასი მანეთი ვერცხლით“.** სამწუხაროდ, გამომგზავრება ვერ მოასწრო. 1850 წლის მარტში გარდაიცვალა. სიკვდილამდე ორი დღით ადრე ანდერძი დატოვა, რომ საქართველოში დაკრძალონ ძვირფასი მეუღლის გვერდით.

ნეკროლოგები საქართველოს უკანასკნელი დედოფლის აღსასრულზე მოსკოვის და პეტერბურგის გაზეთებში დაიბეჭდა. რუსეთის საიმპერატორო სახლი გარეგნულად ხაზგასმულ პატივს მიაგებდა, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით, ფრთხილობდა, რათა დედოფლის დაკრძალვა ეროვნულ მანიფესტაციად არ გადაქცეულიყო: „გარდა მოსკოვისა და საქართველოში დასაკრძალი ადგილისა, გზაში არავითარი ცერემონიალი არ იქნეს დაშვებული.

**„დედოფლის კუბოს გადაკრული ჰქონდა ოქროსფერი ფარჩა, ირგვლივ ფართო სირმაშემოვლებული სახელური და ფეხებიც მოოქროვილი ჰქონდა. კუბოს თავზე ლითონის მოოქროვილი დაფა იყო წარწერით. ზედ გადაფარებული იყო დიდი, ოქროსფერი ფარჩის ნაჭერი, ოქროსფერივე ყალმებით. ოთახის კუთხეებში დიდსანთლიანი შანდლები იდგა. კედლებზე ირგვლივ თორმეტი ხუთსანთლიანი სანთელი... ეკლესიიდან, დიდებულად შესრულებული ცერემონიალის შემდეგ კუბო გამოიტანეს და დადგეს დედოფლის ღერბიან ეტლზე, რომელშიც შავქსოვილ გადაფარებული ექვსი ცხენიება. დაიწყო სამგლოვიარო სვლა ჩუდის მონასტრისაკენ. აქ, წინასწარ შემუშავებული ინსტრუქციის თანახმად სამგლოვიარო ცერემონიალში მონაწილეობას იღებდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს და ჯარის სხვადასხვა სახეობათა წარმომადგენლები, ჟანდარმერია, უმაღლესი სამღვდელოება, მოსკოვის დიდებულები, დედოფლის ნათესავები... ჩუდის მონასტერში, წესის აგების შემდეგ, კუბო გადაიტანეს ვოზნესენსკის მონასტერში, რის შემდეგაც მიცემულ იქნა საარტილერიო ზათქი, თითოეული ზარბაზნიდან სამჯერ. ზათქის ხმა მოისმა ფეხოსანთა თოფებიდანაც. დედოფლის სამგლოვიარო ცერემონიალისა და საქართველოში გადასვენების ინსტრუქცია თავად ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა.** დედოფლის ცხედრის ჩამოსვენების ამბავი მთელ საქართველოს მოედო... მოსკოვიდან წამოსული სამგლოვიარო ეტლი დიდი ამალით, საქართველოს უახლოვდებოდა... მცხეთას და ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოედინებოდა ხალხი“ (მ. გონიკაშვილი, წიგნიდან „ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში“).

* * *

ამ დიდი ცერემონიალის ფონზე, დედოფლის უპირველესი მტერი პ. ციციანოვი უკვე აღარ იყო. იგი 1806 წელს, ბაქოში გაურკვეველ სიტუაციაში მოკლეს... **მაგრამ ვინ მოკლა გენერალ-მაიორი ლაზარევი? ეს საკითხი საიმპერატორო კარისთვის, რატომღაც უკანა პლანზე გადავიდა.** იქნებ დედოფლის თავის მართლებაც გაითვალისწინეს, როცა მან წერილობით მიმართა ალექსანდრე პირველს:

„მე ლაზარევს ვთხოვე, რომ ჩემი შვილი ოქროპირი, რომელიც ავადმყოფობდა და რომელსაც პატრი ფილიპე ექიმობდა, აქ გაეშვათ მოსარჩენად და მორჩენისთანავე-კი ჩემთან გამოეგზავნათ. ლაზარევმა უარი განაცხადა ჩემს თხოვნაზედ და მითხრა: ხელახლავ გიმეორებ, ნუ იგვიანებ, მოემზადეო. ამისთვის, გადაჭრილი უარის შემდეგ მე კიდევ გავკადნიერდი და ვთხოვე: ერთი საათით დარჩენის ნება მაინც მოეცა, რომ ჩემს ბავშვებს გამოეღვიძათ და ერთად წავსულიყავით, მაგრამ საჩქაროდ შემოიყვანა ცამეტთოთხმეტი აფიცერ-ყაზახი. ხელით მიუთითა ლოგინზედ, რომელზედაც მე ჩემის უმცროსის შვილით ირაკლით ვიწექი და უბრძანა შევეპყარით მე და ჩემი ქალი თამარი. აფიცერ-ყაზახიანად მომცვივდნენ: ზოგი ხელში მწვდა და ზოგმა ლოგინი გაითრია. ამ დროს ჩემმა შვილმა ჯიბრაილმა ვეღარ მოითმინა. ხანჯალი იძრო და შეჰყვირა, რომ სანამ მე ცოცხალი ვარ, ნებას არ მოგცემთ, დედაჩემი ეგრე ათრიოთო. ეხლავე გთხოვთ, კარში გაბრძანდეთ, ჩვენ ჩვენთავადაც კარგად გამოვალთ, რა საჭიროა, რომ ძალაზედ გაგვყევართ? თამარსაც ყაზახების შემოხვევაზედ სარკმლის დირეზედ მდებარე ხანჯალი აეღო უპატიოსნების მომყენებელთაგან თავის დასაცავად. ამის დამნახველნი აფიცერნი უკუიქცნენ და ერთბაშად კარში გაცვივდნენ.

**ცოტა ხნის შემდეგ გენერალი უცებ შემოვარდა ამოღებული ხმლითა და თან შემოჰყვა ხმალვე ამოღებული იგივე ყაზახ-აფიცრები, ამის დამნახავმა ხანჯალი ავიღე, დედაჩემი ფეხქვეშ ჩაუვარდა მათ, და მოწიწებით სთხოვდა, ჩხუბი არ აეტეხათ; ისინი კი მის ვედრებას ყურადღებასაც არ აქცევდნენ და ფეხქვეშ სთელავდნენ. ამ დროს ლაზარევმა თავში დამიმიზნა ხმალი, მაგრამ თვითონ ავიცილე, მხარში მომხვდა და ღრმად დამჭრა,** რაზედაც მოწმენი არიან: სომეხი ექიმი – ტატულა, რომელმაც პირველად შემიხვია ჭრილობა, გენერალ ტუჩკოვის პოლკის ექიმი, რომელმაც წამლებიც მომცა და ჭრილობაც შემიხვია კავკავამდე; თვითონ მნახველი გენერალი ტუჩკოვი და მეოთხეც, ექიმი ჭილაევი, რომელიც ეხლაც ჩემთან იმყოფება. სახლიდგან გამოსვლაზედ, მეორედ, კაჩკაევმა დამარტყა; მესამედ კიდევ ვიღაცამ დამარტყა, – მაგრამ მე კარგად ვერ შევამჩნიე ვინ იყო, ლაზარევი თუ სხვა ვინმე, – და ხელის თითებიდან დაწყებული ნიდაყვამდის დამჭრა. თამარსა და ჯიბრაილს, ტფილისის ნაცვალმა სთხოვა ხანჯლების დაყრა. ხმალი ამას მოხვდა და ხელი დაეჭრა; იგი ამჟამად ავლაბარში იმყოფება. ასრედ დასახიჩრებული და დაჭრილი რომ დამინახა, ჩემმა შვილმა ირაკლიმ, საბრალოდ ამოუშვა ტირილი. შეუბრალებელმა ყაზახებმა დასტაცეს მას და სხვა ჩემს ბავშვებს ხელი, მოედანზე გაიყვანეს და მთელი ღამე ჯართა შუა გაატარებინეს. ასე გასინჯეთ, ძუძუმწოვარი ანაც კი წაართვეს გამდელს და ჩხავილით გამოიყვანეს გარეთ.

ასეთ საბრალო მდგომარეობაში რომ ვიყავი, დედაჩემი ერთის მსახურით, მომიახლოვდა და, რა დამინახა სისხლით შესვრილი, გული მიწუხდებოდა, დამშვიდება და მობრუნება დამიწყო, მაგრამ ჯარისკაცებმა მათ ცემა დაუწყეს და გარეკეს. ეს ამბავი რიყრაჟზედ მოხდა, ასე რომ ოთახში ჯერ ისევ სანთლები ენთო, სალდათები რომ შემოვიდნენ და შემოეხვივნენ ჩემს ტახტს. ცოტა ხანში ნაცვალი მოვიდა ერთის ყაზახით; მოიტანეს წყალი, მასხეს თავსა და ხელებზედ და როგორც იყო, გრძნობაში მომიყვანეს.“

* * *

დედოფლის ღირსეული დაკრძალვის ყოველგვარი ხარჯი სახელმწიფომ გაიღო. გაზეთი კავკაზი წერდა, რომ სამგლოვიარო პროცესია არაჩვეულებრივი იყო. სამგლოვიარო სვლას პანაშვიდს და დაკრძალვას თან ახლდა მრავალრიცხოვანი სამღვდელოება და მაღალჩინოსანი საერო პირები...

**და მაინც, რატომ მიაგეს ესოდენი პატივი მკვლელად და პატიმრად შერაცხულ დედოფალს? დროის გადასახედიდან, იქნებ რუსეთის იმპერატორისთვის უფრო მნიშვნელოვანი ის გარემოება გახლდათ, რომ გიორგი XII-ისა და მის ქვრივთან ერთად ოფიციალურად დაიხურა ბაგრატოვანთა სამეფო კარი ანუ ქართული სახელმწიფოებრიობის ნიშანი. მრავალწლიან რუსულ ძალადობას სათანადო შენიღბვა და შელამაზება სჭირდებოდა და ამ პოლიტიკური თამაშის ფონზე რას წარმოადგენდა ვინმე გენერალი ლაზარევი?..**



*ჩვენ მხოლოდ მის შემოქმედებაზე გვსურდა საუბარი. ინტერვიუს დიდხანს არ ითანხმდებოდა. ამ დაძაბულ პოლიტიკურ ფონზე ზოგადი საუბრები ხელოვნებაზე ზედმეტად მიაჩნდა და ვერც იცლიდა... და როცა ჩვენი შეხვედრა შედგა, დავრწმუნდით, რომ ის სადაც არ უნდა იდგეს, ყველგან მართალია, რადგან არასდროს ღალატობს ჭეშმარიტებას: არც პროფესიაში, არც პირადულში, არც ადამიანებთან ურთიერთობაში, არც იდეალის არჩევაში...*

*და მაინც, ჩვენ შემოქმედებაზე საუბარი ვარჩიეთ.*

# ოთარ მეღვინეთუხუცესი:
# „ეს სხვებს ჰგონიათ, რომ ვთამაშობ“...

*ცნობილი ამბავია, როდესაც ხელოვანს ეკითხებიან თქვენი საუკეთესო ქმნილება რომელიაო, პასუხობს, რომელიც ჯერ არ შემიქმნიაო... მაგრამ...*

***– „ჩემთვის ალბათ, ძნელია რომ ვთქვა, ჯერ არ შემიქმნია-მეთქი, რადგან არ ვიცი რა დამრჩა (აქ დარჩენილ დროსაც ვგულისხმობ)...*** *ამ კითხვას ძალიან კარგად პასუხობდა სერგო ზაქარიაძე: „ყველა როლი, რაც მითამაშია ჩემი შვილები არიან და მე ვერ გამოვარჩევ, სხვამ უნდა გაარჩიოსო“. შეიძლება მე ზუსტად ასე არ ვფიქრობ, რადგან ყოველთვის არსებობს გამორჩეული, უკეთესი. თვითონაც ატყობ, რა უფრო გამოგივიდა და რა არა, მაგრამ ბატონი სერგოს სიტყვები კარგი ნათქვამია და მოდი ასე დავტოვოთ. ჩემი სამსახიობო სკოლა ისეთია, რომ მას მაინცდამაინც თამაში არ ჰქვია. მე სტანისლავსკის სისტემაზე გავიზარდე და დღემდე მისი ერთგული ვარ. ჩვენსას ადამიანის სულის სიცოცხლე ჰქვია, ამიტომაც, სცენაზე თამაში არ მიწევს, ეს სხვებს ჰგონიათ, რომ ვთამაშობ... რომ ითამაშო სიცრუესთან უნდა გქონდეს საქმე, ანუ უნდა ტყუოდე კაცი და მე ეგ მეზიზღება ყველაზე მეტად...*

*არც სცენაზე და არც ეკრანზე სიკვდილის ანუ სიცოცხლის დასასრულის გათავისება რთული არ უნდა იყოს. ჩვენი ხელობა ის არის, რომ ვუკვირდებოდეთ, როგორც საკუთარ თავს, ასევე სხვებს. მე მქონია შემთხვევა, როდესაც ახლობელი ადამიანი ჩემს თვალწინ გათავდა და როგორია ეს კარგად ვიცი... თავისთავად გამახსოვრდება, არადა ჩემი პროფესია გავალებს კიდეც. ყველაზე ახლობელიც რომ კვდებოდეს, უნდა უყურებდე, როგორ ხდება ეს. როცა სიტუაციები კარგად ვიცი, ამის გათავისება მერე ადვილი ხდება ხოლმე.*

***– „თუთაშხია რომ არა, ამირეჯიბი ვერ იარსებებდაო“... (ტარიელ ჭანტურია) ოთარ მეღვინეთუხუცესი რომ არა თუთაშხია, როგორც ეკრანული სახე, უცნობი იქნებოდა მაყურებლისთვის...***

*– „ჩემი თუთაშხიას როლზე დამტკიცება სრულიად უბრალოდ მოხდა. როდესაც გადაწყდა, რომ გიგა ლორთქიფანიძეს უნდა გადაეღო, მან თქვა: თუ ოთარი არ იქნება, მე არ გადავიღებო. მე მგონია, რომ მეტ-ნაკლებად ყველაში ზის თუთაშხია.“*





## საოცნებო როლი...

*„არ არსებობს მსახიობი, რომელიც ყველა სურვილს ისრულებს. არჩევანი ჩვენს ხელთ არ არის. სხვამ უნდა მოგვცეს როლი, სამუშაო... ცხოვრება ისე ჩაივლის, რაც უნდა ბედნიერი იყო და ბევრი როლი გქონდეს, რაღაც მაინც გრჩება... ყველაზე მეტად რაც მინდოდა, არ მოხდა და ჩემი ასაკისთვის უკვე დაგვიანებულიცაა: ეს არის ვაჟა-ფშაველას „მინდია“.*



## როლთან გაიგივებული მსახიობი...

*„იმედი მაქვს დადებითი როლები უარყოფითზე მეტი მითამაშია და ალბათ, იმათ უფრო მეტი გავლენა იქონიეს ჩემზე. ხშირად რატომღაც გმირებთან გვაიგივებენ, თუნდაც ის, რომ დათა ვგონივარ ვიღაცას...* ***მე კი დათასნაირი კაცი საერთოდ არ შემხვედრია, ის იდეალური გმირია. ჩვენ კი ცოდვილები ვართ.*** *ამას წინათ პატრიარქის ეპისტოლეს ვკითხულობდი. უწმინდესი ამბობს: ღმერთის წინაშე წმინდანნიც კი ცოდვილები არიანო. ამიტომ შეუძლებელია კაცი ცოდვილი არ იყოს. ალბათ, დათასაც ჰქონდა ცოდვა, თუნდაც ის, რომ სხვისი ცოლი შეუყვარდა. იქნებ ამ ცოდვამ უწია კიდეც ბოლოში“...*

## მეღვინეთუხუცესი და სინანული...

*„ვიღაცას ვაღიზიანებ, ვიღაცას არ მოვწონვარ. ასეთი ხალხიც შემხვედრია და სულ ვცდილობ ხოლმე გავიგო რაშია საქმე, მაგრამ მაინც მიყვარს ადამიანები და რაკი მიყვარს, ალბათ, ჩემში სიკეთე უფრო მეტი უნდა იყოს. მე იმისთანა ხასიათის კაცი ვარ, რომ უცებ ვფეთქდები და შეიძლება მეტიც მომივიდეს. მერე თვეობით არგავდივარ სახლიდან“...*

## ღვინო და მეღვინეთუხუცესი...

*„ჩემზე ამბობენ, კარგი სიმთვრალე აქვსო. მართლაც, კეთილი ვხდები ხოლმე, მაგრამ ეტყობა, როცა სმა ზომას გადადის, შეიძლება პირიქითაც მოხდეს. მეღვინეთუხუცესი ვარ და ვერ ვიტყვი რომ ბევრის დალევა შემიძლია, არ არის ასე... თამადობა არ მიყვარს, თამადას ტყუილის თქმა უწევს და იმიტომ. საერთოდ, მაკვირვებს თამადის ქცევაში ის ამბავი, რომ დაჯდება სუფრაზე სადაც არავის იცნობს და ჩაატარებს... არც ის იცის, ვინ ვინ არის, რისი ღირსია... ეს არ არის ჩემი საქმე და როგორც მეღვინეთუხუცესი, ამ თვალსაზრისით შერცხვენილი ვარ. ვერ ვასრულებ რაც მევალება ამ გვარის კაცს“.*

## და კიდევ...

***„საერთოდ ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს, ხანდახან ვიტყვი ხოლმე: სხვისი სისულელის მოსმენა მირჩევნია ჩემი საკუთარისას-მეთქი.***

***საუბარი დავასრულეთ. „რასაც დასაწყისი აქვს დასასრულიც უთუოდ უნდა ჰქონდესო, თანაც ბევრი ლაპარაკი არ მიყვარსო... და...“***

*მერე კარამდე მიგვაცილა, მშვიდობა გვისურვა. მე კი უბედნიერესი ვიყავი. სხვა შთაბეჭდილებებთან ერთად, თუთაშხია-მეღვინეთუხუცესის ავტოგრაფიც კი მიმქონდა სახლში.*

**ჟანა დარსალია,**
**მარკეტინგისა და მედიაკომუნიკაციების ინსტიტუტის ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტი**



**ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# რუსეთი კვლავ კრებს ჯარისკაცებს და აწყობს პროვოკაციებს

**ერთი წლის წინათ, როდესაც „შორსმჭვრეტელ მეთვალყურეთა ჯგუფმა“ დაათვალიერა რუსეთ-საქართველოს საზღვრები, შენიშნა მომავალი შეჯახებანი.** მაგრამ მათ გაფრთხილებაზე მხოლოდ ეცინებოდათ. ამჯერად რუსეთი კვლავ აწყობს პროვოკაციებს – ადგილზე და დიპლომატიურ ფორუმებზე. მან კვლავ დაგეგმა ივნისისთვის მასშტაბური სამხედრო სწავლება საქართველოს მოსაზღვრე რეგიონებში. იქნებ, ვლადიმერ პუტინი ფიქრობს კიდევ ერთ სამხედრო ოპერაციაზე, რათა ბოლო მოუღოს მიხეილ სააკაშვილის ქართულ მთავრობას?

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ამჟამად, თითქოსდა, არ არის დაინტერესებული ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირთან ურთიერთობის გამწვავებით, ასეთი შესაძლებლობა გამორიცხული არ არის, ვინაიდან, სამხედრო თვალსაზრისით, საქართველო ვერაფერს დაუპირისპირებს რუსეთის ფედერაციას. სააკაშვილის საუკეთესო დაცვა პოლიტიკური მხარდაჭერაა ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან. მისთვის კი მთავარია – „არ მისცეს კრემლს საბაბი შემოჭრისთვის“.

The Washington Post

# საქართველოს სურს შეინარჩუნოს დსთ-ს ზოგიერთ ხელშეკრულებაში მონაწილეობა

**ოფიციალური თბილისი წყვეტს მონაწილეობას დსთ-ს ყველა გადაწყვეტილებაში და ზოგიერთ ხელშეკრულებაში, გვაცნობა სამართლებრივი თანამშრომლობის განყოფილების უფროსმა ვასილ ასტრეიკომ.**

ხუთშაბათს დამთავრდა დსთ-ს ქვეყნების ექსპერტების მოლაპარაკების მეორე რაუნდი საქართველოს დელეგაციის მონაწილეობით. ექსპერტების თათბირზე, კერძოდ, გადაწყდა, რომ საქართველოს გამოსვლით დსთ-დან მისთვის წყდება დსთ-ს ყველა გადაწყვეტილების მოქმედება, რომლებიც მიღებული იქნა 2008 წლის 18 აგვისტოს შემდეგ. მაგრამ საქართველო აგრძელებს მონაწილეობას დსთ-ს ხელშეკრულებებში ღია სუბიექტური შემადგენლობით (რომელშიც მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ არა მხოლოდ დსთ-ს ქვეყნებმა).

როგორც ასტრეიკომ აღნიშნა, ჯერჯერობით არ გადაწყვეტილა საკითხი საქართველოს მონაწილეობის შესახებ საქონლის წარმომავლობის ქვეყნის განსაზღვრის წესებში, რომლებშიც საქართველოს სურდა მიეღო მონაწილეობა.



შეგახსენებთ, რომ დსთ-დან გამოსვლის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა თბილისის ცენტრში მიტინგზე 2008 წლის 12 აგვისტოს. „ჩვენ საბოლოოდ ვტოვებთ დსთ-ს და ვთავაზობთ სხვა ქვეყნებსაც, დატოვონ ეს გაერთიანება, რომელსაც რუსეთი მართავს“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. მან შესთავაზა აგრეთვე უკრაინასა და სხვა რესპუბლიკებს მიბაძონ საქართველოს მაგალითს.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# ქართული პოლიცია პუტინის სტუდენტობის დროინდელ კოლეგებს იჭერს

**საქართველოში განგაშია. თითქმის ყოველ კვირას ქვეყნის პოლიცია რუსეთის შესაძლო აგენტებისა და შეთქმულთა დაკავებაზე ინფორმაციას ავრცელებს.** სამართლის პროფესორი ვლადიმერ ვახანია დღეს პატიმარია და სასჯელს ცუდი რეპუტაციით ცნობილ თბილისის პირველ საპყრობილეში იხდის. ოფიციალურად მას იარაღის უკანონო შენახვაში ედავებიან. თუმცა დეტექტივებს ეჭვი აქვთ, რომ ის რუსეთის სასარგებლოდ აგენტურულ საქმიანობას ეწეოდა.

40 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ერთ დროს იურისპრუდენციას ლენინგრადის უნივერსიტეტში, რუსეთის დღევანდელი პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის დროს სწავლობდა. ვახანიასთვის საბედისწერო შესაძლოა სწორედ ეს ფაქტი აღმოჩნდა. ყოველკვირეული მოსკოვური გამოცემის „ნეზავისიმაია გაზეტასთვის“ გაგზავნილ წერილში, ვახანია აგენტობაზე ბრალდებებს „აბსურდულს“ და „შეთითხნილს“ უწოდებს. ის წერს, რომ – „შპიონომანია“ „ბუნებრივი მახასიათებელია ისეთი რეჟიმისთვის, რომელიც სააკაშვილმა შექმნა, საქართველოს ავტორიტარმა მმართველმა.“

ვახანიას ორმაგი, რუსეთის და საქართველოს მოქალაქეობა აქვს. ის აქვეყნებდა წერილზე „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში“ რუსებისა და ქართველების მორიგების საკითხებზე და ამ მხრივ აქტიურად მუშაობდა. 2004 წელს მან სამშვიდობო მარშის მოაწყო და რუსეთის და საქართველოს მთავრობებს მოუწოდებდა „მშვიდობიანი ფორმებით გადაეწყვიტათ ეთნიკური კონფლიქტები.“

წელს მარტში მან მეგობრებთან ერთად პოლიტიკური პარტია დააფუძნა, რომელიც თავს სააკაშვილის წინააღმდეგ დაწყებული ოპოზიციური მოძრაობის მიმდევრად მიიჩნევს. ვახანია წერს, რომ – „ამ კავკასიური რესპუბლიკის ციხეები გადავსებულია უსაფუძვლოდ გასამართლებული, განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებითა და პოლიტიკური პატიმრებით.“

იურისტის განცხადებით, როგორც სჩანს, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს დაუსჯელობის განცდა აქვთ და მათთვის მიუღებელ ადამიანებს გამოგონილი ბრალდებებით აპატიმრებენ. ვახანიას დაკავების დროს, მარტში, პროვინციულ ქალაქ ზუგდიდში, გამომძიებლებმა მის ბინაში, თითქოს, კალაშნიკოვის მარკის ავტომატური იარაღი და ორი ყუმბარა აღმოაჩინეს.

შესაძლოა, ქართველმა გამომძიებლებმა ასეთი მუშაობის სტილი მათი საბჭოთა კოლეგებისგან გადმოიღეს. სააკაშვილი აცხადებს, რომ ის სამართლებრივ სახელმწიფოს აშენებს.



მსგავსი მეთოდები კი ასეთი სახელმწიფოსთვის შეუფერებელია. ასევე ხშირია გაურკვეველი მკვლელობები და თავდასხმები, როგორც ეს რამდენიმე დღის წინათ საეჭვო ბუნტში ეჭვმიტანილი სამხედროების დაკავების ოპერაციის დროს, თბილისის მახლობლად მოხდა. გასული კვირის დასაწყისში კი ტელეკომპანია „მაესტროს“ შესასვლელში უცნობი პირების მიერ ნასროლი ხელყუმბარა აფეთქდა.

ვერსია, რომ, თითქოს, ადამიანი, რომელიც პუტინთან ერთად უნივერსიტეტში სწავლობდა, რუსების აგენტია, ერთობ არადამაჯერებლად ჟღერს. ასეთივე ლოგიკით, რუსეთის საიდუმლო პოლიციის აგენტები არიან გერმანიის მოქალაქეები, დრეზდენის უშიშროების სამსახურის თანამშრომლები და ვლადიმერ პუტინის ძველი მეგობრები, რომლებიც ოდესღაც მასთან თანამშრომლობდნენ.

საპატიმროდან პროფესორმა ვახანიამ რუსეთის პრეზიდენტს, სახელმწიფო სათათბიროს, კრემლში ადამიანის უფლებათა საკითხებზე მომუშავე ვლადიმერ ლუკინს, ევროკომისიის პრეზიდენტს ბაროზოს, კანცლერ ანგელა მერკელს და სხვა ევროპული სახელმწიფოების მეთაურებს მიმართა. ჯერ-ჯერობით მისთვის პასუხი არავის გაუცია. განსხვავებით ახალგაზრდა რუსი ჯარისკაცისგან, რომელმაც ცოტა ხნის წინათ საქართველოს მთავრობას თავშესაფარი სთხოვა, საქართველოში დატუსაღებული რუსი იურისტის ბედი საზოგადოებრივი ინტერესის მიღმა რჩება.

ივ კლუსმანი

SPIEGEL

## დედამიწის ზურგზე



**ჩინეთში გაანადგურეს ადამიანებით მოვაჭრეთა 72 დაჯგუფება. გათავისუფლებულია 600-ზე მეტი ბავშვი და ქალი**

8 გათავისუფლებული ბავშვი უკვე დაუბრუნდა თავიანთ ოჯახებს. დანარჩენი პატარები ჯერჯერობით სოციალური დაცვის მეთვალყურეობის ქვეშ არიან. მათგან აიღეს დნნ იმისთვის, რათა მოძებნონ მათი მშობლები. მთლიანად ამ მიზნით ქვეყანაში გაიხსნა 236 გენეტიკური ლაბორატორია.

* * *

**ამერიკაში გარდაიცვალა ბომბდამშენის მეორე პილოტი, რომელმაც ჩამოაგდო ატომური ბომბი ნაგასაკში**

უფროსი ლეიტენანტი ჩარლზ დონალდ ოლბარი იყო მეორე მფრინავი, რომელმაც 1945 წლის 9 აგვისტოს ჩამოაგდო ატომური ბომბი. იგი აგრეთვე მონაწილეობას ღებულობდა სამი დღით ადრე ხიროსიმის დაბომბვაში, როდესაც დამხმარე თვითმფრინავში ზომავდა აფეთქების ძალასა და რადიაქტიურ გამოსხივებას.



* * *

**ლატვია შეიძლება აფეთქდეს, როგორც ბუშტი, მიაჩნია ექს-პრეზიდენტ ვიკე-ფრეიდერბს**

ლატვია ღრმა კრიზისშია. ქვეყნის საშინაო მთლიანი პროდუქცია 2009 წლის პირველ კვარტალში დაეცა 18 პროცენტით. „პოლიტიკოსებმა უნდა დაიწყონ მოქმედება და არ დაელოდონ, სანამ პრობლემები გადაწყდება თავისთავად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოლოს და ბოლოს, მთელი ქვეყანა შეიძლება გაქრეს, როგორც ბუშტი“, – მიაჩნია ვიკე-ფრეიდერბს.

* * *

**დიდი ბრიტანეთის შრომის მინისტრი გადადგა, მან მოუწოდა გორდონ ბრაუნს, მიბაძოს მის მაგალითს**

ჯეიმს პერნერი მინისტრთა კაბინეტის უკვე მესამე წევრია, რომელმაც განაცხადა გამოსულიყო მთავრობის შემადგენლობიდან უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში. პირველად ასეთი წინადადება წამოაყენა შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯეკი სმიტმა, შემდეგ გადადგა სათვისტომოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმეთა მინისტრი ჰეიზლ ბლირზი.

* * *

**ობამას ერთ-ერთი წინაპარი მეექვსე თაობაში გერმანელი იყო, დაადგინეს ამერიკელმა გენეალოგებმა**

ამ წინაპარს ერქვა იოჰან კონრად ვულფლინი. ის დაიბადა 1729 წლის 29 იანვარს სამხედრო ქირურგის ოჯახში შტუდგარტის ჩრდილოეთში პატარა ქალაქ ბესიგხაიმში. 1750 წელს ვულფლინი ჩავიდა ამერიკაში, შეიცვალა იქ გვარი ვულფლით და დაფუძნდა საბოლოოდ პენსინვალიის შტატის მიდლტაუნში.



◉ ჟურნალისტური გამოძიება



# ამბავი აფხაზეთში ტყვედ ნამყოფი რკინიგზელებისა

(მეხუთე გვერდიდან)

1992 წლის 12 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება (SIC!) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საჯარისო ფორმირებების შეყვანის შესახებ, რასაც ხსნიდა ამ რეგიონში შექმნილი მწვავე კრიმინალური მდგომარეობით, იქ გამავალი სარკინიგზო და სატრანზიტო ტვირთების უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობით.

ამ დროს (1990-1991 წ.წ.) საქართველოს რკინიგზის შეიარაღებული დაცვის სამსახური, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა 2500 მუშაკი, ორჯერ განიარაღდა, სამსახურს არ გააჩნდა წესდებითა და შესაბამისი ინსტრუქციებით გათვალისწინებული შეიარაღება, რაც ქვეყნის მასშტაბით არაგარანტირებულს ხდიდა სარკინიგზო ტვირთების უსაფრთხო გაცილებას და დაცვას. ამის მიუხედავად, აღნიშნულ სამსახურს არ შესცვლია არც დასახელება და არც წესდებით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები.

არადა, იმ დროისთვის რკინიგზის შეიარაღებული დაცვის სამსახურს აფხაზეთის უბანზე არ აღუნუსხავს ტვირთების მასობრივი ძარცვის არც ერთი ფაქტი — აცხადებენ იმდროინდელი საქართველოს რკინიგზის ყოფილი უფროსი რემი ვაშაკიძე და რკინიგზის შეიარაღებული დაცვის სამსახურის იმჟამინდელი უფროსი ზურაბ მამულაშვილი.

1992 წლის აგვისტომდე არანაკლებ 500 სხვადასხვა ტვირთით სავსე ვაგონი აფხაზეთის გავლით განლაგდა ბათუმის რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე, რის შემდეგ ვაგონების კვალი გაქრა.

იმ დროისათვის სარკინიგზო ტვირთების მასობრივი ძარცვის ფაქტები მრავალჯერ გამოვლინდა სამეგრელოს რეგიონის რკინიგზის უბნებზე, ანუ იქ, სადაც განლაგებული იყო საქართველოს კანონიერი და პუტჩისტების მიერ განდევნილ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა გარკვეული ნაწილი, აგრეთვე კანონიერი სამხედრო ფორმირებები ლოთი ქობალიას მეთაურობით, რომლებიც ებრძოდნენ ხსენებულ პუტჩისტებს.

1992 წლის 12 აგვისტოს სამხედრო საბჭოს სხდომაზე მიწვეულმა ზურაბ მამულაშვილმა საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ მხარს არ უჭერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სარკინიგზო ტვირთების გაცილების და დაცვის მიზნით ჯარის გამოყენების აუცილებლობას, რასაც დაეთანხმნენ საქართველოს რკინიგზის უფროსი რემი ვაშაკიძე და ავთანდილ იოსელიანი — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მაშინდელი უფროსი.

შემდგომ აფხაზეთში შეიქმნა საომარი მდგომარეობა, იღუპებოდნენ ჩვენი თანამემამულეები, ქართველი მოსახლეობა.

1993 წლის 23 ივნისს საქართველოს შეიარაღებული ძალების 23-ე მოტომსროლელი ბრიგადის მეთაურმა გენერალმა გენადი ადამიამ გასცა ბრძანება (№ 231) — „შეყვანილ იქნას 23-ე მოტომსროლელი ბრიგადის შემადგენლობაში და აყვანილ იქნას ყველა სახის კმაყოფაზე საქართველოს რკინიგზის შეიარაღებული დაცვის სპეციალიზებული ასეულის პირადი შემადგენლობა გენერალ ზურაბ მამულაშვილის მეთაურობით 1992 წლის 15 იანვრიდან“.

ისმის კითხვა: რამ განაპირობა 1993 წლის 6 ივლისს რაზმის მოწინააღმდეგისთვის ტყვედ ჩაბარება?

ირკვევა, რომ იმ დროისათვის რაზმი განლაგებული იყო სოხუმჰესის ტერიტორიაზე და მის ფუნქციაში შედიოდა იმ ობიექტის დაცვა. მას მოწინააღმდეგე არ უნდა შეეშვა ჰესის ტერიტორიაზე. რაზმმა მართლაც არაერთგზის მოიგერია მოწინააღმდეგის შეტევა.

1993 წლის 6 ივნისს დილის 6 საათზე მოწინააღმდეგემ ჰესს მორიგი ალყა შემოარტყა, 8 საათის განმავლობაში მხარეებს შორის ცხარე ბრძოლა მიმდინარეობდა.



იმ პერიოდში ჰესის ტერიტორიაზე არსებულ სახლებში ცხოვრობდნენ ჰესის იმდროინდელი ხელმძღვანელის გურამ ცხვარაძის მეუღლე მზია ცხვარაძე და მათი სამი მცირეწლოვანი შვილი, აგრეთვე უცნობი ქალბატონი (მისი ვინაობა ვერ დავადგინეთ) ორი მცირეწლოვანი შვილით, სხვა მოხუცები.

აღნიშნული ტერიტორიიდან ხსენებული მოქალაქეების ევაკუაცია, მიუხედავად ზურაბ მამულაშვილის მოთხოვნისა (მან არაერთგზის მიმართა სოფელ შრომაში განლაგებულ შტაბის ხელმძღვანელობას), არ განხორციელდა.

ალყა გაგრძელდა, გურამ ცხვარაძემ შეატყობინა ზურაბ მამულაშვილს, რომ მოწინააღმდეგემ მძევლად აიყვანა მისი მეუღლე, აგრეთვე ზემოთ ხსენებული ქალბატონი თავისი შვილებით.

შექმნილ მდგომარეობაში გურამ ცხვარაძემ საჭიროდ ჩათვალა მისულიყო მოწინააღმდეგე მხარესთან და მძევლად აყვანილების ნაცვლად თვითონ ჩაბარებულიყო. ამას ზურაბ მამულაშვილი არ შესწინააღმდეგებია, რადგან არ ჰქონდა ამის მორალური უფლება.

გურამ ცხვარაძის ჰესიდან წასვლის 15-20 წუთის შემდეგ, თავის ერთ-ერთ ბავშვთან ერთად დაბრუნდა მისი მეუღლე, რომელმაც ზურაბ მამულაშვილს აცნობა, რომ მოწინააღმდეგემ ყველანი დააკავა, მძევლად დაიტოვა მისი ორი შვილი და შემოუთვალა: მძევლად მყოფ ბავშვებს დახოცავდა, თუ ქალბატონი ვერ შეძლებდა დაერწმუნებინა რაზმის მეთაური რაზმთან ერთად ტყვედ ჩაბარებულიყო. შემდეგ დაინახეს, როგორ მორბოდა მათკენ გურამ ცხვარაძე და როგორ მოკლეს ის მეუღლის თვალწინ.

ზურაბ მამულაშვილმა გასცა ბრძანება, მზია ცხვარაძე, მისი შვილი და ჰესის ტერიტორიაზე მცხოვრები მოხუცები ჩაეყვანათ შენობის სარდაფში. შემდეგ რაციით დაუკავშირდა სოფელ შრომაში ქართველთა შტაბის ხელმძღვანელობას, შეატყობინა თავისი კოორდინატები და მოითხოვა, დაეწყოთ საარტილერიო შეტევა. შეტევა მართლაც დაიწყო, მაგრამ ერთი-ორი გასროლის შემდეგ შეწყდა, რადგან გამოელიათ ტყვია-წამალი. ზურაბ მამულაშვილს ესმოდა, რომ რაზმი ვერ შეძლებდა მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევას, დახმარების იმედი კი არ ჰქონდა. ბრძოლაში დაიღუპა რაზმის 10 მებრძოლი, ბავშვებიც მძევლად იყვნენ აყვანილი. ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა, ამიტომ რაზმი მეთაურთან ერთად ტყვედ ჩაბარდა.

არიან თუ არა ღირსეული მეომრები რაზმის მეთაური და მებრძოლები, რომლებმაც შექმნილ მდგომარეობაში გამოიჩინეს განსაკუთრებული სიმამაცე და შეძლეს ღირსეული წინააღმდეგობა გაეწიათ მოწინააღმდეგისთვის?

ამ კითხვით მივმართეთ ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას, გაგვცეს კომპეტენტური და არა ბუნდოვანი, რიტორიკული პასუხი ჩვენ მიერ დასმულ შეკითხვაზე!

ჩვენი სააგენტო მოითხოვს ხელისუფლებისგან, დააჯილდოონ ხსენებული პირები, რისი წინა პირობაა 1994 წელს რემი ვაშაკიძის და დავით გულუას მიერ სახელმწიფოს მეთაურის წინაშე წარდგინება. თუ ეს არ მოხდება, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ ხელისუფლება ამ ქმედებით უარყოფს იმას, რომ საქართველოში ალიარებდნენ სიმამაცეს, თავდადებას, ვაჟკაცობას, უბრალოდ კაცობას, რაც ესოდენ ესაჭიროება დღეს ჩვენს ქვეყანას.

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“

◉ გაუფრთხილდეთ!

# ჰანგების შემგროვებელი

**უჩვეულო, მაგრამ ძალზე სასიამოვნო საღამოს მოწმენი გავხდით რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში, სადაც ქართული ხალხური სიმღერის საღამო გაიმართა. მის მთავარ პერსონაჟად მოგვევლინა მხცოვანი სახალხო მომღერალი ანდრო სიმაშვილი, რომელიც ცნობილია ანდრო პაპას სახელწოდებით. მასთან ერთად გამოვიდა ალავერდის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდი და სიმაშვილების შთამომავალთა ანსამბლი. საღამო მიჰყავდა მუსიკისმცოდნე ნატო ზუმბაძეს.**

ანდრო პაპა 1923 წლის 6 ოქტომბერს თელავის რაიონის სოფელ ართანაში დაიბადა. ოჯახსა და ნათესაობაში თითქმის ყველა მღეროდა, სიმღერა ადრეულ ასაკშივე შეისწავლა ახლობლების, ნათესავებისა თუ მეზობლებისაგან. ანდრო პაპა თავდაპირველად ყვარლის რაიონის ანსამბლში მღეროდა. შემდგომ სიმღერა თელავში ცნობილ სახალხო მომღერალ მარიამ არჯევნიშვილთან გააგრძელა. სტუდენტობის დროს (1947-49) კი ცნობილი სახალხო მომღერლის ფირუზ მახათელაშვილის გუნდში მღეროდა.

ანსამბლ „ართანას“ დაარსებიდანვე (1954) ანდრო პაპა მისი წევრია. 1981 წელს ეს ანსამბლი მონაწილეობდა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ კომპოზიტორთა კავშირის პლენუმში და ლაურეატის წოდება დაიმსახურა. 1985 წელს კი — მოსკოვში გამართულ კომპოზიტორთა საკავშირო პლენუმზე კვლავ დაიმსახურა ლაურეატის წოდება. სწორედ ამ პერიოდში გაკეთდა ანსამბლის პირველი ჩანაწერები.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, 90-იან წლებში საქართველოში უმძიმესი ვითარების პირობებში ანსამბლი დაიშალა, რასაც ანდრო პაპა მტკივნეულად განიცდიდა.

სასიამოვნო სიურპრიზად იქცა მხცოვანი მომღერლის პარიზში მიწვევა 2002 წელს ანსამბლ „ირინოლასთან“ ქართული ხალხური სიმღერების მასწავლებლად. შემდეგ წელს იგი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ამჟამად ანდრო სიმაშვილი ართანის სალოტბარო სკოლაში ალავერდის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდს ძველ, მივიწყებულ ხალხურ სიმღერებს ასწავლის.

ხალხურ მუსიკალურ ხელოვნებაში შეტანილ წვლილთან დაკავშირებით საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ცენტრის წარდგინებით ანდრო სიმაშვილი 2008 წელს ლაურეატი გახდა.

ამა თუ იმ მომღერლის საშემსრულებლო სტილზე საუბრისას ბატონი ანდრო აღნიშნავს: „შენი სტილი უნდა გქონდეს. ვიღაცას რო დააჯავრო და მიამსგავსო, ეს ნამღერი არ არი“.

მომღერალი გარდა ტრადიციული კახური ხალხური სიმღერისა, წარმატებით ასრულებს როგორც ქალაქურ, ასევე საკუთარ და პროფესიული მუსიკის ნიმუშებს, მაგ. ჩალხიას ბალადას (ოთარ თაქთაქიშვილის ოპერიდან „მინდია“) და ბონჯოვანის რომანსის „საყვედურის“ საქვეყნოდ ცნობილ ქართულ ვარიანტს „გენაცვალე“, რომელშიც მცირეოდენი ცვლილებები შეაქვს. აქვე უნდა ვახსენოთ ანდრია ყარაშვილის ფართოდ ცნობილი რომანსი „ისევ შენ და ისევ შენ“, რომლის მელოდიაც მან გაასამხმიანა. მისეული ვარიანტი „კახური ბანით“ იმდენად დაახლოებულია ფოლკლორთან, რომ ფაქტობრივად ნამდვილ ხალხურ ლირიკულ სიმღერად აღიქმება.

კახურ ტრადიციულ სიმღერებთან ერთად, ზემოთ დასახელებული თითქმის ყველა სიმღერა შესრულდა კონცერტზე ანდრო პაპასა და მისი გუნდის მიერ, რასაც აუდიტორია ძალზე გულთბილად შეხვდა.



საზოგადოებაზე აგრეთვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სიმაშვილების შთამომავალთა ანსამბლმა, რომლის წევრებიდან გამოვყოფდი ანდროს ბიძაშვილს, ქალბატონ ლილი სიმაშვილს, რომელიც უდავოდ გამოირჩევა თავისი ოსტატობით.

ეს დღე მარტო კონცერტით არ ამოწურულა, მის პარალელურად გაიმართა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ ანდრო სიმაშვილის კომპაქტ-დისკის პრეზენტაცია, რაც ამ მრავალმხრივი მოღვაწის კიდევ ერთ დაფასებას წარმოადგენს.

ახლა კი მინდა, რამდენიმე მოსაზრება გამოვთქვა იმ დამაფიქრებელი გარემოების გამო, რომ კახეთში ხალხური სიმღერის ერთ-ერთ სავანეში ტრადიციული სიმღერა ნელ-ნელა ადგილს უთმობს მდარე, გაურკვეველი წარმოშობის ფსევდოხალხურ მუსიკას. ამრიგად, სამხმიანი მღერით ცნობილ კახეთში ერთხმიანი საფანდური ჰანგები მკვიდრდება. ამ პირობებში დიდი ძალისხმევის ფასად ანდრო პაპა ახერხებს ქართული სიმღერით დააინტერესოს ყველა თაობის წარმომადგენელი, რომელთაგანაც ყველაზე უფროსი თვითონაა, ხოლო ყველაზე უმცროსი კი 15 წლისაა.

**გიორგი კრავეიშვილი**

◉ ინფორმაცია

## სანამ ჩამოვლენ, საქართველოს სტამბოლის აეროპორტში გაიცნობენ

**სტამბოლის** საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს ტურისტული პოტენციალის ამსახველი ფოტოგამოფენა მიმდინარეობს.

გამოფენაზე დამთვალიერებელს შესაძლებლობა აქვს, საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და კულტურულ-ისტორიული ძეგლების ხედებით 100-მდე ფოტო დაათვალიეროს.

გამოფენის გახსნას ქართული მხრიდან დაესწრნენ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ლაშა ჟვანია, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელი პეტრე კანკავა; თურქული მხრიდან კი — სტამბოლის ვიცე-გუბერნატორი აჰმედ ალი ულუთაში, ათა თურქის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის ოპერატორი კომპანია „ტავი“-ს აღმასრულებელი დირექტორი სინი შენერი.

ლაშა ჟვანიას განცხადებით, გამოფენა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ყოველდღიურად სტამბოლის საერთაშორისო აეროპორტით 100 000 ადამიანი სარგებლობს.

ინტერპრესნიუსი

### ჭადრაკი

# მედლებიც და საგზურებიც განაწილდა



**ფოთში დამთავრდა თექვსმეტი წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელიც შვეიცარიული სისტემით ცხრა ტურად გაიმართა.**

გოგონებში ბოლო ტურის წინ ერთბაშად სამი მოჭადრაკე აცხადებდა ჩემპიონობაზე პრეტენზიას. გადამწყვეტი პარტიები ყველა კონკურენტმა მოიგო: მარიამ დანელიამ თათია კოხრეიძე დაამარცხა, ნანი უნაფქოშვილმა იოლანდა მაღოიანს სძლია, ხოლო ლელა უგულავამ მარიამ სულამანიძეს დააყრევინა ფარხმალი. ამდენად, სამივე მოჭადრაკეს 7-7 ქულა მოუგროვდა. საპრიზო ადგილების ბედი უკეთესმა კოეფიციენტმა გადაწყვიტა – დანელიამ, უნაფქოშვილმა და უგულავამ, შესაბამისად, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.

ვაჟებში 7,5 ქულით ყველას ზურაბ ჯავახაძემ აჯობა. ბოლო ტურში მან ნიკა ღვამბერიძე დაამარცხა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა გიორგი ნიკოლაშვილი, 6,5 ქულით ნოდარ ლორთქიფანიძე მესამე იყო.

საქართველოს პირველობა შესარჩევი ტურნირიც გახლდათ. ჩემპიონები – დანელია და ჯავახაძე თურქეთში მსოფლიოს პირველობაზე ითამაშებენ, ხოლო ვერცხლის პრიზიორები – უნაფქოშვილი და ნიკოლაშვილი ევროპელ თანატოლებს იტალიაში გაეჯიბრებიან.

### ჭიდაობა

# თურქული მედლები



**წლეულს 20 ივლისიდან 1992-1993 წლებში დაბადებული თავისუფალი სტილით მოჭიდავეები სერბეთში ევროპის პირველობაზე იასპარეზებენ.**
ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადება საქართველოს ნაკრები მთავარი მწვრთნელის თამაზ ბენდიანიშვილის ხელმძღვანელობით. ამას წინათ ჩვენმა ბიჭებმა ბათუმში გაიარეს ორკვირიანი საწვრთნელი შეკრება და შემდეგ იზმირის საერთაშორისო ტურნირში ჩაებნენ. ერთი ოქროს, სამი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი – ასეთია მათი თურქული ნადავლი.

ყველა მეტოქე დაჯაბნა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა გორელი ბექა ბუჯიაშვილი (42 კგ), რომელმაც ფინალში მასპინძელს აჯობა. მეორე ადგილებზე გავიდნენ ლაშა ტალახაძე (50, ხაშური), ზურაბ იაკობიშვილი (54, ყვარელი) და ომარ გუსოშვილი (100, გორი), ხოლო გიორგი ტალახაძეს (54, ხაშური), კონსტანტინე ხაბალაშვილს (63, გორი), ალექსანდრე ჯაჭვაძეს (69, გარდაბანი) და სანდრო ამინაშვილს (76, თბილისი) ბრინჯაოს მედლები ხვდათ. საერთო გუნდური ადგილები კი ასე განაწილდა: 1. თურქეთი, 2. რუსეთი, 3. საქართველო.

### მაიას თასი

# პრესტიჟი იზრდება



**გუშინ ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონისა და საჭადრაკო ოლიმპიადების მრავალგზის გამარჯვებულის მაია ჩიბურდანიძის თასის გათამაშება, რომლის ორგანიზატორი და იდეის ავტორი დიდოსტატი ნინო გურიელი გახლავთ.** ეს ტურნირი საერთაშორისოა და ფინანსურადაც ამჯერად საკმაოდ უზრუნველყოფილია. ბევრი ცნობილი უცხოელი მოჭადრაკე საქართველოში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ვერ დააფრთხო და გვეწვია. სტუმართა შორის არიან უკრაინელი დები – ანა და მარია მუზიჩუკები, ოღონდ ანა სლოვენიის სპორტულ ღირსებას იცავს, ასევე წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი, ერევნელი ლილით მკრტიჩიანი, რუმინელი იულია-იონელა იონიკა; ქართველთაგან – ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, მაია ლომინეიშვილი, ნინო ხურციძე, სოფიო გვეტაძე, ბელა ხოტენაშვილი, ინგა ჭარხალაშვილი, მაკა ფურცელაძე და სხვები. შეჯიბრება 13 ივნისამდე გასტანს.

### ფეხბურთი



# არგენტინა მზადაა

**როგორც ბრიტანული ინტერნეტ-გამოცემა „სქაი სპორტსი“ იუწყება, არგენტინა მზადაა 2011 წლის კოპა ამერიკას უმასპინძლოს. ამის შესახებ განცხადება ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებმა ბაჰამის კუნძულების დედაქალაქ ნასაუში გამართულ ფიფას კონგრესზე გააკეთეს.**

სამხრეთამერიკელთა მომავალი ფორუმის შეხვედრები ხუთ ქალაქშია დანიშნული: ლა პლატა, კორდობა, სანტა ფე, ხუხუი და სალტა.

შეგახსენებთ, რომ კონტინენტის წამყვანი ნაკრებები მარადონას სამშობლოში უკანასკნელად 1987 წელს შეიკრიბნენ და მაშინ ფინალში ურუგვაიმ ჩილეს სძლია – 1:0, ხოლო დამდეგი ასპარეზობის ორგანიზატორთა ბოლო ტრიუმფი 1993 წელს უკავშირდება, როცა „თეთრ-ლურჯებმა“ გადამწყვეტი მატჩი მექსიკელებს მოუგეს – 2:1.

სხვათა შორის, არგენტინელები მიზანთან ახლოს 2004 და 2007 წლებშიც იყვნენ, მაგრამ დასკვნითი რაუნდი ორივეჯერ ბრაზილიელებთან წააგეს.

**გიორგი შოთაძე**

### რეფორმა

# ფიფა ასაკს აუქმებს

**ფიფას კონგრესმა გადაწყვიტა, გააუქმოს იმ ფეხბურთელთა ასაკის შეზღუდვა, ახალგაზრდულ ნაკრებებში რომ თამაშობენ და გადაწყვიტეს სხვა ეროვნულ გუნდში გამოსვლა.**

მოქმედ წესებთან შესაბამისობაში, მოთამაშეს, ნებისმიერი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში რომ გამოდიოდა, შეეძლო სხვა ეროვნულ გუნდში გამოსვლა მხოლოდ 21 წლამდე.

წინადადება ამ წესის შეცვლის შესახებ ფიფას კონგრესზე შეიტანა ალჟირის ფეხბურთის ასოციაციამ და მიიღეს ხმების 58 პროცენტით. ამ წინადადებას ძირითადად მხარი დაუჭირეს აფრიკის ქვეყნებმა, რომლებსაც საშუალება მიეცათ, მოიწვიონ ფეხბურთელები, ევროპის ახალგაზრდულ ნაკრებებში რომ თამაშობენ. ასე რომ, ახალი წესები ბევრ ახალგაზრდა ფეხბურთელს საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლის კიდევ ერთ საშუალებას მისცემს.

თუმცა ეს წესი გავლენას არ მოახდენს იმ ფეხბურთელებზე, ნებისმიერი ქვეყნის მთავარ ნაკრებში რომ თამაშობენ.

### ინტერნეტიდან

## პრეზიდენტის ვარაუდი

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თავისი პროგნოზი გამოთქვა ნბა-ს პლეიოფში „ლოს-ანჯელეს ლეიკერსსა“ და „ორლანდო მეჯიკს“ შორის ფინალური სერიის შედეგების შესახებ.**

ობამამ განაცხადა, რომ ჩემპიონის გვირგვინს „ლეიკერსის“ კალათბურთელები მოიპოვებენ, თანაც ისინი ფინალს მოიგებენ ანგარიშით 4:2.

რამდენად სწორი გამოდგება პრეზიდენტის პროგნოზი, გაცხადდება დაახლოებით კვირანახევრის შემდეგ.

შეგახსენებთ, რომ წლეულს ბარაკ ობამას ერთი ასეთი საკალათბურთო წინასწარმეტყველება ასრულდა. ადრე გაზაფხულზე აშშ-ს პირველმა პირმა NCAA ჩემპიონატის „ოთხთა ფინალში“ გამარჯვება უწინასწარმეტყველა ჩრდილო კაროლინის უნივერსიტეტის გუნდს, რომელიც მართლაც გახდა საპატიო პრიზის მფლობელი.



გუშინ ჩვენი დროით დილაადრიან გაიმართა „ლოს-ანჟელეს ლეიკერსისა“ და „ორლანდო მეჯიკის“ პირველი მატჩი. „ლეიკერსელებმა“, ალბათ პრეზიდენტის პროგნოზით აღფრთოვანებულებმა, დიდი ანგარიშით 100:75 დაამარცხეს მეტოქე.




## ჰენგელოს სწრაფ ბილიკებზე

უამრავი მონაწილე მოიზიდა მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირზე ჰოლანდიის ქალაქ ჰენგელოს სტადიონის სწრაფმა ბილიკებმა.

100 მეტრზე უსწრაფესი იყო მარტინა ანტილის კუნძულებიდან – 9,97 რაც, სეზონის საუკეთესო მიღწევაა მსოფლიოში.

თუმცა ტურნირზე განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია „მისტერ ჰენგელოს“ ასპარეზობამ საათიან გარბენაში – ასე უწოდებენ ზოგჯერ ჰაილე გებრასელასიეს. მას უნდოდა თავისივე მსოფლიო რეკორდის დამხობა (21285 მეტრი), მაგრამ ძლიერმა ქარმა და წვიმამ ხელი შეუშალა ამ საქმეში – მან საათში მხოლოდ 20822 მეტრი გაირბინა და ახალ რეკორდამდე 463 მეტრი დააკლდა.

800 მეტრზე მამაკაცთა სირბილში კი ერთბაშად სამმა მონაწილემ „გამოირბინა“ 1,44 წუთიდან.

## ფეხბურთელებიდან — მოტომრბოლებზე

**როგორც ჩანს, იტალიელმა ლამაზმანმა სარა ტომაზიმ ბოლო დროს ფეხბურთელებს მოტომრბოლელები ამჯობინა და მათზე გადაერთო. ადრე ის ხვდებოდა კრისტიან ვიერის, ფაბიო გალანტეს, ვალონ ბერმანს, გასულ უქმეებზე კი მან თავბრუ დაახვია ხორხე ლორენცოს.**

ისინი შეხვდნენ საზეიმო საღამოზე, გუნდმა Fiat Yamala რომ მოაწყო, ელიტურ სტუმრებს შორის აღმოჩნდა სარაც, საყოველთაო ყურადღება რომ მიიპყრო. მალიორკელი ახალგაზრდა წარმატებულმა მრბოლმა ხორხე ლორენცომ, დიდი იმედებს რომ ამყარებენ მასზე, გულგრილად ვერ ჩაუარა დიდებულ შავგრემან ლამაზმანს.

ბოლო „გრან-პრიზე“ მუჯელოში ლორენცომ მეორე ადგილი დაიკავა, რაც დიდ გამარჯვებად მიიჩნიეს, პრესამ ასევე გამარჯვებად ჩაუთვალა ლამაზმან ტომაზთან დაახლოება.



მოსაგონარი

# გულმა ვერ აიტანა

## ჩვენი სოსო ბუხაიძე

თავისი ცხოვრების გზა ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის მოწაფე-მეუთოვისგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორამდე ალალმართალი, დაუცხრომელი კაცის მუყაითობით წალდა და რანდა.

არსთაგამრიგემ უკან მოხედვის, საკუთარ იერსახეზე დაკვირვების, განვლილ დღეთა მტევნების მოსთვლის დრო არ მისცა. სიკვდილი წიგნზე თავდახრილს წამოეწია.



ზრდილი, გულისყურიანი იმერელი, მაღალი რანგის ქუთაისელი, გულღია, იუმორიანი, მიმტევებელი, მარად შერიგების მომხრე შუაკაცი — ასეთი იყო სოსო.

ცხოვრებისგან გამწარებულს, სასოწარკვეთილს სოსო უნდა მოგეძებნა და დალაპარაკებოდი. მალამოსავით ჰკურნავდა გულს მისი, თითქოსდა სხვათა შორის, ნათქვამი: „კაი ახლა, ნუ მეიკლავ თავს, მაინც ველარაფერს შეცვლი, რამდენია შენზე ვარეს დღეში ამ ქვეყანაზე“.

სწორედ მაშინ გამოჩნდებოდა, როცა საჭირო იყო. სწორედ მაშინ გეტყოდა გულის მოსაფხან სიტყვას, როცა ის ერთი სიტყვა ყველაფერზე მეტად გჭირდებოდა.

სოსოსთან ურთიერთობის დროს გავიწყდებოდა, რომ სადღაც იყო ჭირი, შური, ზურგში ხანჯლის ჩაცემა, გაუტანლობა...

თავის დარდს თავზე არ მოგახვევდა. ჩუმად, უდრტვინველად ებრძოდა თავის სნებას და მასწავლებლის ტკბილ-მწარე ლუკმას დღე-დღე, საათ-საათი იზოგავდა.

ქვეყანას თავი დაამახსოვრა. მეგობართა წრეს, უნივერსიტეტს, თუ გნებავთ ქართულ ხელოვნებასაც კი თავისი ელფერი მისცა. სამოც-სამოცდაათიანი წლების ქორეოგრაფიული ანსამბლების მშვენება იყო. მისი ფოლკლორული, სახასიათო ცეკვები კოლორიტულობით და სარკასტულობით გამოირჩეოდა.

საცეკვაო მოედანი წიგნმა შეცვალა. ტკბილმოუბარი, მაღალპროფესიონალი ლექტორი იყო. ლამის 50 წელი იდგა პროფესორის კათედრაზე და თითქმის ყველა სტუდენტი ახსოვდა. მისი დაფრთიანებული სპეციალისტები ქუჩაშიც რომ შეხვედროდა, მარტო სახელს კი არ მოიგონებდა მისას, იმასაც კი გაახსენებდა, რა თემაზე დაიცვა სადიპლომო დისერტაცია.

სტუდენტი მისთვის ოდენ მოწაფე კი არა, კოლეგა და მეგობარი იყო.

ექსკურსიაზე სოსოსთან ერთად ყოფნაც კი სტუდენტს მასთან მეგობრობის უფლებას აძლევდა. მამობრივ სითბოდ ეღვრებოდა გულში ყოფილ სტუდენტს სოსოს საყვედურიანი მოკითხვა: „რავა ხარ, ბიჭო? ოჯახს არ მეეკიდე? ვის უნახავ თავს“?

პოლიტიკაში აქტიურად არ ერეოდა. მიტინგები და გულზე მჯიღის ცემა არ უყვარდა. როგორც კი ზევით მოექცევიან, საწყალი კაცის გასაჭირი მაშინვე ავიწყდებათო. წასასვლელი და მოსასვლელი ერთმანეთს ჰგავსო. კახელი იტყვის: რამდენი ვირიც ვიყიდე, ყველა იმნაირი გამომადგაო. სკამის მაძიებლებს ვერ იტანდა, მაგრამ როცა ქვეყნის ბედი იდვა სასწორზე, მრისხანებას ვერ მალავდა და სტუდენტებს ქუჩაში უხმობდა.

გათენების მწუხარე ლოდინში, იმედის თითის ლოკვაში წლები შემოეხარჯა.

ბოლოს, როცა სამოცდაათს მიტანებულს თაობათა აღზრდისთვის, მუხლჩაუხრელი მეცნიერული საქმიანობისთვის შუბლზე კოცნა ეკუთვნოდა, უზოდიშოდ კარისკენ მიუთითეს. უნივერსიტეტზე შეყვარებული, დამაშვრალი ლექტორი უნივერსიტეტიდან ასობით ეროვნულ პროფესორთან ერთად გამოაძევეს.

3 ივნისს სოსო ბუხაიძეს 75 შეუსრულდებოდა. ერთი წელია მისი მშფოთვარე სული ზეცას შეუერთდა, ხოლო ნეშტი მშობელ მიწაში განისვენებს.

**რევაზ მიშველაძე, როინ მეტრეველი, ელიზბარ ჯაველიძე, თამაზ წივწივაძე, ომარ გოცაძე, რევაზ გოგოხია, გივი გამსახურდია, იგორ კვესელავა, გურამ გოგიაშვილი, მურმან ტურავა, პარმენ ლემონჯავა, გია მეფარიშვილი, რომან შენგელია, სოსო სიგუა, მურმან თავდიშვილი, ნომადი ბართაია, ელიკო ხარაბაძე, არსენა ფანჩულიძე, ბიკენტი გაბიძაშვილი, ცისანა სეხნიაშვილი, გურამ ბურდული, მარიკა კალანდაძე, გურამ ჭანტურია.**

---

დარეჯან და გიორგი დუნდუები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დავით ჭავჭანიძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

საზოგადოება „ზუგდიდელის“ სახელით ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, ანზორ შონია, ოთარ ჭითანავა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდებული პიროვნება, აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი

**ლუდა აბსანძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

აფხაზეთის მთავრობა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საყოფაცხოვრებო მომსახურების ყოფილი მინისტრი

**გუგი (ლუდა) გუჯაბის ძე აბსანძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მოკოდი აბშილავა ოჯახით თანაუგრძნობს რეზო ფაჩულიას მეუღლის

**ლამარა ჩაჩუა-ფაჩულიას**

გარდაცვალების გამო.

---

სოსო ბააკაშვილი, მოკოდი აბშილავა, რომიკო სვანიშვილი, ნოდარ გორდეზიანი ოჯახებით მწუხარებას გამოთქვამენ მეგობრის რეზო ფაჩულიას მეუღლის

**ლამარა ფაჩულიას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია გულწრფელად თანაუგრძნობენ ბატონ რეზო ფაჩულიას ძვირფასი მეუღლის, უკეთილშობილესი პიროვნების, ღირსეული ოჯახის დედისა და ბებიის

**ლამარა ჩაჩუა-ფაჩულიას**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საწარმოთა მართვის სააგენტო“

# ბრძანება

№1-3/268 5 ივნისი 2009 წ.

შპს „აღმოსავლეთის წყალთან“, შპს „გორის სოფლის წყალსადენების სამმართველოს“, შპს „კასპის რაიონის წყალკანალის“, შპს „მერწყულის“, შპს „ქარელის წყალკანალის“, შპს „დაბა აგარის წყალკანალის“, შპს „თეძამი-2000“-ის, შპს „ხაშურწყალის“, შპს „ხაშურკანალის“, შპს „სურამის წყალკანალის“, შპს „წყალკანალის“ (ახალციხე), შპს „ადიგენის წყალმომარაგება-კანალიზაცია „ჰიგიენას“, შპს „წყალსადენ კანალიზაციისა და კომუნალური მომსახურების ერთიანი სპეციალიზირებული სამსახურის“ (ასპინძა), შპს „აბლარი-ახალქალაქი-წყალკანალის“, შპს „ახალქალაქის სოფლის წყალმომარაგების“, შპს „ბორჯომის წყალსადენ-კანალიზაციის“, შპს „წყალსადენისა და კანალიზაციის სამშენებლო-საექსპლოატაციო სამმართველოს“ (ნინოწმინდა), შპს „დუშეთის კომუნალური სამსახურის“, შპს „ნაკადულის“ (მცხეთა), სს „თელავწყალკანალის“, შპს „სოფლის წყალსადენის საექსპლოატაციო სამმართველოს“, შპს „ყვარელწყალკანალის“, შპს „წყალკანალის“ (გურჯაანი), შპს „ლაგოდეხის რაიონის წყალკანალის“, შპს „სიღნაღის რაიონის კომუნალური გაერთიანების“, შპს „ქალაქწყალკანალის“ (დედოფლისწყარო), შპს „ქედების წყალკანალის“, შპს „დედოფლისწყაროს წყალკანალის“, შპს „საგარეჯოს რ-ნის კომუნალური მეურნეობისა და წყალკანალიზაციის საწარმოს“, შპს „ბოლნისწყალკანალის“, შპს „სართიჭალის წყალსადენის“, შპს „წყალკანალის“ (დმანისი), შპს „თეთრიწყაროს წყალკანალის“, შპს „მარნეულწყალის“ შერწყმის შესახებ.

„მეწარმეთა შესახებ“ და „სახელმწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონების, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 22.06.06 წ. №1-1/550 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ დებულების, საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 21 აპრილის №192 ბრძანებულების, წყალმომარაგებისა და ენერგეტიკის საკითხთა სახელმწიფო კომისიის 2009 წლის 1 აპრილის სხდომის №1 ოქმის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 04.06.09 წ. №15/522/7-9 წერილისა და შპს „აღმოსავლეთის წყალის“ 03.06.09 წ. №61 წერილის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შპს „აღმოსავლეთის წყალს“ შეერწყას (მიუერთდეს) შპს „გორის სოფლის წყალსადენების სამმართველო“, შპს „კასპის რაიონის წყალკანალი“, შპს „მერწყული“, შპს „ქარელის წყალკანალი“, შპს „დაბა აგარის წყალკანალი“, შპს „თეძამი-2000“, შპს „ხაშურწყალი“, შპს „ხაშურკანალი“, შპს „სურამის წყალკანალი“, შპს „წყალკანალი“ (ახალციხე), შპს „ადიგენის წყალმომარაგება-კანალიზაცია „ჰიგიენა“, შპს „წყალსადენ კანალიზაციისა და კომუნალური მომსახურების ერთიანი სპეციალიზირებული სამსახური“ (ასპინძა), შპს „აბლარი-ახალქალაქი-წყალკანალი“, შპს „ახალქალაქის სოფლის წყალმომარაგება“, შპს „ბორჯომის წყალსადენ-კანალიზაცია“, შპს „წყალსადენისა და კანალიზაციის სამშენებლო-საექსპლოატაციო სამმართველო“ (ნინოწმინდა), შპს „დუშეთის კომუნალური სამსახური“, შპს „ნაკადული“ (მცხეთა), სს „თელავწყალკანალი“, შპს „სოფლის წყალსადენის საექსპლოატაციო სამმართველო“, შპს „ყვარელწყალკანალი“, შპს „წყალკანალი“ (გურჯაანი), შპს „ლაგოდეხის რაიონის წყალკანალი“, შპს „სიღნაღის რაიონის კომუნალური გაერთიანება“, შპს „ქალაქწყალკანალი“ (დედოფლისწყარო), შპს „ქედების წყალკანალი“, შპს „დედოფლისწყაროს წყალკანალი“, შპს „საგარეჯოს რ-ნის კომუნალური მეურნეობისა და წყალკანალიზაციის საწარმო“, შპს „ბოლნისწყალკანალი“, შპს „სართიჭალის წყალსადენი“, შპს „წყალკანალი“ (დმანისი), შპს „თეთრიწყაროს წყალკანალი“, შპს „მარნეულწყალი“.

2. შპს „აღმოსავლეთის წყალის“ დირექტორის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება (ხელფასი) განისაზღვროს 2 500 (ორიათას ხუთასი) ლარის ოდენობით, კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის გათვალისწინებით.

3. დაევალოს შპს „აღმოსავლეთის წყალის“ დირექტორს (ლ. წითელაშვილი) უზრუნველყოს:

ა) ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნული საზოგადოებების შპს „აღმოსავლეთის წყალთან“ შერწყმა „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით;

ბ) შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და სათანადო დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენა.

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ დარგობრივი ეკონომიკის ჯგუფს.

**თავმჯდომარე ივანე ბერაძე**

---

**სს „ქ. თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი“ აცხადებს**

**ა□უ ქ ც ი ო ნ ს**

**ძირითადი საშუალების: საზოგადოების საკუთრებაში არსებული ნუცუბიძის ქ.№3-ში მდებარე შენობის კვების ბლოკის ნახევარსარდაფის 62 კვ. მ. ფართის იჯარის ფორმით გაცემასთან დაკავშირებით**

**შემდეგი პირობებით:**

1. იჯარის ვადა 5 წელი
2. საწყისი საიჯარო ქირა 1 წლის განმავლობაში 3 ლარი, ბიჯი 1 ლარი;
3. ბე-ს თანხა 50 ლარი;
4. დაწესებულების კვების ბლოკში, საიჯარო პერიოდში წარმოქმნილი მცირე ხარვეზების (საკანალიზაციო, და სხვა მსგავსი შემთხვევები) სარემონტო სამუშაოების წარმოება მოხდება მოიჯარის მიერ და ხარჯები არ აუნაზღაურდება;
5. კომუნალურ ხარჯებს სრულად ფარავს მოიჯარე;
6. საზოგადოების ან მისი ქონების პრივატიზების შემთხვევაში „მეიჯარე“ უფლებამოსილია შეწყვიტოს პრივატიზებამდე გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება.

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს იჯარით გასაცემი ქონების დასახელება და კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე, განაცხადი ივსება ადგილზე;

ბ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

დ) ბეს გადახდის ქვითარი;

ე) კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული უნდა იყოს დახურულ კონვერტში;

ვ)პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი ფიზიკური პირის შემთხვევაში;

ზ)იურიდიული პირის შემთხვევაში –სადამფუძნებლო დოკუმენტაცია და ნებართვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

**ინფორმაცია განცხადების მიღებისა და კონკურსის ჩატარების შესახებ:**

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 2009 წლის 8 ივნისიდან 22 ივნისის ჩათვლით, 17 სთ-მდე. აუქციონი გაიმართება 2009 წლის 23 ივნისს 14 სთ-ზე, შემდეგ მისამართზე: 1.თბილისი, ნუცუბიძის ქ.№3 სს „ქ. თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი”

**ბეს თანხის გადახდა იწარმოებს შემდეგ რეკვიზიტებზე:**
**სს „ქ.თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი“**
**სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“**
**ბანკის კოდი 220101670**
**ა/ა №55263602 ს/კოდი 20486720 ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 395686; 398463.**

სულიერება

# სულთმოფენობა

**7 ივნისს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია სულთმოფენობას დღესასწაულობს, რომელიც უფლის აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს აღინიშნება...**

...უფლის აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს მოციქულზე სულიწმინდის მადლი ცეცხლოვანი ენების სახით გადმოვიდა.



და სწორედ ცეცხლოვანი სიტყვის ძალით დაწვეს და მოაშთეს მოციქულებმა ყოველი ბოროტება კერპთმსახურებისა და ღვთაებრივი სიყვარულის მადლით გაათბეს და გაალღვეს ადამიანთა გაყინული გულები.

სულთმოფენობის დღესასწაული ქრისტეს ეკლესიის დაბადების დღეა! ქრისტიანობა (სულიერი სიმდიდრე) სულიწმინდის მადლის მოპოვებით განისაზღვრება.

**გიული ლიპარტია**

ინფორმაცია

## ზურაბ სოტკილავას მშობლების საფლავზე არ უშვებენ

**ცნობილი საოპერო მომღერალი ზურაბ სოტკილავა „ნოვიე იზვესტიისათვის“ მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ მას აფხაზეთში არ უშვებენ.**

— აფხაზეთში მე არ მიშვებენ. მისი (აფხაზეთისძ ახლანდელი ხელისუფლება თავს ანგელოზებად აცხადებს, სინამდვილეში კი... იცით, ქართველებს აქვთ ასეთი წყევლა — მშობლების საფლავი არასოდეს გენახოსო. ჩემი მშობლები აფხაზეთში არიან დასაფლავებული, ანუ იქ, სადაც მე დავიბადე. მე კი 1991 წლის შემდეგ მათ საფლავზე გასვლის საშუალება არა მქონია, — აცხადებს ზურაბ სოტკილავა.

მისივე თქმით, იგი არც იმას გამორიცხავს, რომ აფხაზეთის ახლანდელი ხელისუფლება, მას როგორც მომღერალს პატივს სცემს.

— და როგორც მომღერალს მე შემიძლია აფხაზეთში ჩავიდე, მაგრამ რა ვუყო იმ სამას ათას დევნილს, რომლებიც იქიდან გამოყარეს? ხომ იტყვიან ისინი, რატომ ჩაუშვეს იქ ის და რატომ არ გვიშვებენ ჩვენ? სწორედ ეს მაკავებს, — აცხადებს ზურაბ სოტკილავა.

## „კრაისლერს“ ცეცხლი წაეკიდა

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან „კრაისლერის“ ფირმის მსუბუქ ავტომანქანას ცეცხლი წაეკიდა.**

როგორც თვითმხილველები ამბობენ, შემთხვევა ავტომობილის წინა ნაწილის აალებამ გამოიწვია.

ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა. მძღოლმა ავტომანქანიდან გადმოსვლა მოასწრო.

**ინტერპრესნიუსი**

ჯანმრთელობა

## როგორ დავძლიოთ ბავშვის ჭირვეულობა

**მშობელთა უმრავლესობა უეჭველად აწყდება ბავშვთა ჭირვეულობას იმ კერძების ჭამაზე, რაც ასე აუცილებელია მათთვის.**



როგორც ჰიუსტონიდან ბელორის სამედიცინო კოლეჯის ექსპერტები აცხადებენ, მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ უმცროს ასაკში გემოს დრვილები ძალზე მგრძნობიარენი არიან და ამიტომაც ბავშვები, არც თუ იშვიათად, სულ სხვანაირად შეიგრძნობენ გემოს, ვიდრე უფროსები.

თუ თქვენს ბავშვს არ უნდა რომელიმე კერძის ჭამა, ექიმები გვირჩევენ, რომ შევთავაზოთ მას, მხოლოდ გემო გაუსინჯოს, ან კიდევ ეს კერძი შესთავაზეთ, როდესაც ის ძალზე მშიერია. შესაძლოა, ბავშვმა გემო გაუსინჯოს შეთავაზებულ საჭმელს, მას ის რამდენიმეჯერ უნდა შევთავაზოთ.

## სიგარეტის ბოლი ალერგიის მკურნალი?

**მიჩვეულნი ვართ აზრს, რომ სიგარეტის ბოლი ჯანმრთელობას ვნებს, თუმცა სულ ახლახან ცნობილი გახდა, რომ თამბაქოს ბოლს, მედიცინის მთელი მტკიცების მიუხედავად, შეუძლია, დადებითად იმოქმედოს ორგანიზმზე — თურმე მას შეუძლია, აგვაცდინოს ალერგია. ასეთი სენსაციური განცხადებით უტრეხტის (ნიდერლანდებიძ უნივერსიტეტის მკვლევარები გამოვიდნენ.**



ნივთიერებანი, თამბაქოს ბოლს რომ შეიცავენ, თრგუნავენ იმ უჯრედებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობს ანთებით რეაქციებში, კერძოდ, ალერგიულ რეაქციებში. ეს სპეციფიკური იმუნური უჯრედებია, შემაერთებელ ქსოვილში რომ გაფანტულან.

ორგანიზმში ალერგენების მოხვედრისას ისინი გამოიმუშავებენ ჰისტამინებს, ალერგიას რომ იწვევენ.

რასაკვირველია, სწავლულები არ მოგვიწოდებენ ალერგიის მოწევით მკურნალობისკენ — ის ხომ ფილტვების კიბოსა და სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებებს იწვევს. მაგრამ ახალი მონაცემებით, შესაძლოა სასარგებლო იყოს მწეველთა ალერგიული პროცესების დიაგნოსტიკისთვის.

## გრძელი ფრჩხილები მავნებელია?



**ქალთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ისეთი ჩვეული პროცედურა, როგორიც ფრჩხილების გაზრდაა, აბსოლუტურად უვნებელია ჯანმრთელობისთვის. მაგრამ ამერიკელი მკვლევარები დაჟინებით გვირჩევენ — უარი ვთქვათ სილამაზის სალონებში სიარულზე ან, უკიდურეს შემთხვევაში, ფრჩხილების ზრდაზე.**

მიზეზი?— ულტრაიისფერი ნათურების გამოსხივება ფრჩხილების ზრდის პროცედურას დამაგვირგვინებელ სტადიაზე. ეს ხომ ასევე პოპულარული საშუალებაა ჩვეულებრივი ლაქის გასაშრობად.

ყოველწლიურად მილიონობით ქალი მთელს მსოფლიოში იყენებს ამ მომსახურებას, როგორც გამოირკვა, ზოგიერთ მათგანს ამის შედეგად უვითარდება კანის კიბო.

## მზე და თევზი აჭკვიანებს

**მანჩესტერის უნივერსიტეტის მეცნიერები, კვლევები რომ მოაწყეს, მივიდნენ დასკვნამდე, რომ D ვიტამინის გამოყენება დაკავშირებულია მამაკაცებში გონებრივი შესაძლებლობების გაუმჯობესებასთან.**

მკვლევარები იტყობინებიან, რომ D ვიტამინის მაღალი დონე ტვინს ფორმაში სტოვებს მოხუცებლობამდე. ვიტამინს გამოიმუშავებს კანი ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით, და მას შე-



იცავს აგრეთვე რძის პროდუქტები, თევზის ქონი, კვერცხის გული, ის ეხმარება უჯრედებს კალციუმის გადამუშავებაში, რაც დიდმნიშვნელოვანია ძვლების ჯანმრთელობისთვის.

ამავე დროს მეცნიერები გვირჩევენ, ბოროტად არ ვისარგებლოთ მზის აბაზანებით, რადგან ის, შეიძლება, გახდეს კანის კიბოს განვითარების მიზეზი.

**უცხოური პრესის მიხედვით**

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

კოსტავას 12

98-65-87; 899 32-85-76.

ანეკდოტები

— რატომ არის, რომ პუტინსა და მედვედევს ტელევიზიით თითქმის არასოდეს არ აჩვენებენ ერთად?

— არ დაიჯერებ, მაგრამ ისინი ორთავენი ერთი ადამიანი არიან.

* * *

მამა-შვილი მანქანით მიდიან. საჭეს შვილი უზის.

— მამი, რას იტყვი, ვიცი ტარება?

— შვილო, ტროტუარზე მინიკაბიანი გოგო რომ მიდიოდა, დაინახე?

— არა, არ დამინახავს.

— ესე იგი, ჯერ კიდევ არ იცი, შვილო...

* * *

ცოლი ექიმთან მივიდა და შესჩივლა, ჩემი ქმარი ძილში ლაპარაკობსო.



— გამოგიწერთ წამალს, რომლის მიღების შემდეგ იგი ძილში არ ილაპარაკებს.

— ო, არა, მასეთი კი არა, იმნაირი წამალი მინდა, რომლის მეშვეობითაც იგი უფრო გარკვევით ილაპარაკებს.

* * *

დედამ პატარა გოგონა მუზეუმში წაიყვანა.

ბავშვი შიშველი მამაკაცის ქანდაკებასთან შეჩერდა, დააკვირდა და დედას მამაკაცის პენისზე მიუთითა — ეს რა არისო.

— არაფერი, შვილო, საერთოდ არაფერი, — უხერხულად შეიშმუშნა დედა.

— მეც მინდა მასეთი!

დედამ სცადა შვილის ყურადღების სხვა ქანდაკებაზე გადატანა, მაგრამ ბავშვი დაჟინებით იმეორებდა, სწორედ ისეთი მინდაო.

ბოლოს დედას მოსწყინდა და უთხრა:

— თუ კარგი გოგო იქნები და ახლა ამაზე არ ილაპარაკებ, როცა გაიზრდები, გექნება მასეთი.

— თუ ცუდი გოგო ვიქნები?

— მაშინ, — ამოიოხრა დედამ, — ბევრი მასეთი გექნება.

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.